რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 6 აგვისტო 1917 წ.

ერთობა

ფასი 12 კაპ.

[illegible]

გაზეთის ფასი: თვეში 2 მან. 60 კაპ., თითო ნომერი 12 კაპ. კანტორა „განათლების" აგენტებს დაეთმობა 9 კაპ. [illegible]

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199, Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ, Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 116 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 116

ნოე გიორგის ძე და ანეტა ივანეს ასული ხომერიკი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავ მეგობრებს საყვარელ ვაჟის

ალეკო ნოეს ძე ხომერიკის

გარდაცვალებას.

მიცვალებულს გამოასვენებენ დღეს 1 საათზე ქვაშვეთის ეკლესიიდან.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ქუთაისის გუბერნიის კომიტეტი ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ კვირას, 30 ივლისს ნაშუადღევს 1 საათზე გარდაიცვალა

გიორგი ფილიპეს ძე ზდანოვიჩი

გამოსვენება დანიშნულია ქუთაისში, ოთხშაბათს, 9 აგვისტოს, დილის 10 საათზე საკუთარი ბინიდან.

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

პელაგია სიმონის ასული დვარეცკიძე.

რასაც აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგებს და ნაცნობთ დიდათ დამწუხრებულები შვილები გიორგი, მარიამი, ალექსანდრე და სიძე მისი ლავრენტი თხილავა. გამოსვენება მოხდება კვირას 6 აგვისტოს დილის 9 საათზე რკინიგზის საავადმყოფოს „ჩასოვნიიდან" წაასვენებენ დიდუბის ეკლესიაში დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე.

კვირას, 6 აგვისტოს, დილის 10 საათზე დანიშნულია

თფილისის კომიტეტის რ. ს.-დ. მ. პ. კრება

გოლოვინის პროსპექტი № 12. ◆ ამხანაგებს სთხოვენ არ დაიგვიანონ.

კვირას, 6 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია

შეერთებული კრება

საოლქო და თფილისის კომიტეტების და ყველა რაიონულ კოლექტივების რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიისა.

მეოთხე რაიონის კოლექტივის ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 12)

კვირას, 6 აგვისტოს, საღ. 8 საათზე. თფ. მუშთა 1 ლ სახაზინო დარბაზში შესდგება ამიერ კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის

კ რ ე ბ ა

ვინაიდან კრებაზე მეტად საყურადღებო საკითხებია გასარჩევი, ამიტომ ვთხოვთ ამხანაგებს უეჭველად დაესწრონ და ნუ დაიგვიანებენ.

ფრაქციის ბიურო.

განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი

8 კლასიანი ვაჟთა და ქალთა გიმნაზია

ყოველგვარ უფლებით

დ. ი. ბეროზაშვილისა

მიიღებიან მოწაფეები I მოსამზ., უმცროს და უფროსს მოსამზადებელ I, II, III, IV და V კლასში.

თხოვნების მიღება ყოველ დღე. ◆ გამოცდა დაიწყება 21 აგვისტოს.

დროებითი კანცელარია ღია დილის 9—2 საათ. და საღ. 5—8 საათამდე ბათუმის ქ., № 23, დიდუბე, (ელისაბედის ქ. ყურე) მეორე სართული. ტრამვაი 8.

კავკასიის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტი

მუშათა, ჯარის-კაცთა, გლეხთა დეპუტატების საბჭოებისა

მოთავსებულია სასახლეში, ყვითელ ზალაში.

პრეზიდიუმის შემადგენლობა:
თავმჯდომარე ე. პ. გეგეჭკორი
თავ. ამხანაგი დ. დ. დონსკოი
„ „ ნ. ვ. რამიშვილი

პრეზიდიუმის წევრები: ნ. ფ. ვერეზოვი, ი. ა. ბეკზადიანი, ქ. გაზაზიანი, ხ. ზეინალოვი, ი. ი. იდაშკინი, ნ. ა. თარხანოვი.

მთხოვნელთა მიღება ყოველ დღე დილ. 10—12 საათამდე. ტელეფ. № 4—90.

თფ. ელექტრონის სადგურებში მომუშავეთა პროფესიონალური კავშირი

ამით აცნობებს ამხანაგებს, რომ დღეს, 6 აგვისტოს დილის 9 საათზე „მულენ-ელექტრიკის" (მ. ხე ლ ს პრ. № 147) საზაფხულო შენობაში დანიშნულია კავშირის წევრთა

საერთო კრება

დღის წესრიგი: 1) მოხსენება შრომის ბირჟაზე, 2) მიმდინარე საქმენი.

ახალი საკრებულო

(ყოფილი ხიროვსის კლუბი) მიხეილის პროსპექტი № 131.

კვირას, 6 აგვისტოს,

ოპერეტკა რუსულ ენაზე

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ◆ ანონსი: ორშაბათს 7 აგვისტოს სინემატოგრაფი.

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოგეს სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: (ავლაბარი, ორთაჭალა, ნავთლუღი) ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა დილ. 9—2 ს., საღ. 5—9 საათ. ტელეფონი № 5—98.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბ ი უ რ ო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბ ი უ რ ო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა საბჭოს ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან. ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში).

კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

საოლქო კომიტეტის გამოცემანი.

(საწყობი კომიტეტის ბიურო, გოლოვინის პროსპ. № 12).

1.	ს. დ. პ. პროგრამა ქართულად	10 კ.
2.	ს. დ. პ. პროგრამა რუსულად	10 „
3.	ს. დ. პროგრამა სომხურად	10 „
4.	ს. დ. პროგრამა თათრულად	10 „
5.	მუნიციპალური პროგრამა რუს.	5 „
6.	მუნიციპალური პროგრამა ქართ.	5 „
7.	ძირს სოც. დემ. ბრაკეს რუს.	20 „
8.	სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა რუსულად	20 „
9.	ეგიპე წიგნაკი ქართულად	20 „
10.	ოთხი ძმა ქართულად	35 „
11.	კომუნისტური მანიფესტი რუს.	20 „
12.	კომუნისტური მანიფესტი ქარ.	25 „
13.	დემოკრატიული რესპუბლიკა ქარ.	25 „
14.	დამფუძნებელი კრება რუსულ.	25 „
15.	ნ. ჟორდანია—ნაც. კითხვა ქართ.	20 „
16.	კრიტიკა აგრარული პროგრამისა პ. მასლოვისა, რუს. ენაზე ფასი	15 „
17.	უწყება, მე-6 საოლქო თავყრილობისა (კონფერენციისა) რ. ს.-დ. მ. პ. ქართ. ენაზე ფასი	25 „
18.	იგივე უწყება რუსულ ენაზე ფასი	20 „
19.	დროებითი წესები ქალაქ. სახ. ხმოს. არჩევნებისა ქართ. ფასი	10 „
20.	რა უნდათ სოციალ-დემოკრ. რუს.	20 „
21.	რა უყოთ მიწას პ. მასლოვისა, რუს.	

იბეჭდება და მალე გამოვა:

1. საფრანგეთის ისტ. 1848 წ. ნ. ჟორდანიასი.

ამასთანავე ვაცხადებთ: პროვინციელ ორგანიზაციებს დაეთმობათ, რომლებიც 50 ცალ ნაკლებს არ გამოიწერს ოცი პროცენტი იქ სადაც ბაგაჟით არ შეიძლება გაგზავნა, არამედ ფოსტით უნდა იქნას გაგზავნილი, პროცენტი ეთმობათ 15 კ. მანეთზე. ფული უნდა იქნას წინადაწინ გამოგზავნილი, ფასდადებით ბროშურები არავის გაეგზავნება.

ამხანაგებო! გამოიწერეთ ბროშურები, გაავრცელეთ ხალხში, რომ ამით საშუალება მოგვეცეს სხვადასხვა ახალი ბროშურები გამოვცეთ და გავავრცელოთ ხალხში.

ფული და წერილები მიიღება შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Бюро областного комитета закавк. организацiи Р. С. Д. Р. П. Головинскiй № 12.

თფ. საქონლის სადგურში

იყიდება სხვა და სხვა ბროშურები გამოცემა საოლქო კომიტეტისა.

მსურველს შეუძლია მიმართოს

საშა ჩიგოგიძეს.

ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბაღდადის ქ., ბაქრაძის სახლი.

ექიმი ივანე თიკანაძე

იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: ცხოვრების ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისადმი.

ამხანაგებო! დემოკრატიის ყველა ძალთა შეკავშირება-გაერთიანება კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველათ და იმ აუცილებელ საკითხების გადაჭრა, რომლებიც ახალმა ცხოვრებამ წამოაყენა, აი რა არის ამჟამინდელ მომენტში უპირველესი საქმე.

ამ საკითხების გადასაჭრელათ აუცილებლათ საჭიროა თვით დემოკრატიის მოწინავე რაზმის, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მთლიანობა.

პარტია დაყოფილია რამდენიმე მიმდინარეობად, დაყოფილია არა მარტო იდეურათ, არამედ—ორგანიზაციულადაც. მაგრამ პარტიის სხვა და სხვა მიმდინარეობათ დაყოფვა, მცირეოდენი ჯგუფების გამოკლებით, არც იმდენათ მნიშვნელოვანია, რომ არ შეიძლებოდეს მათი ერთ ორგანიზაციაში მოთავსება.

გაერთიანების აუცილებელ საჭიროებას დიდი ხანია გრძნობს ამხანაგთა უმრავლესობა. ჩვენი პარტიის საოლქო ყრილობამ საოლქო კომიტეტს მიანდო მიეღო ყველა ზომები რუსეთის სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ყველა მიმდინარეობათა გასაერთიანებლათ.

ამ ჟამათ პეტროგრადის საორგანიზაციო კომიტეტის კომისიამ თავის თავზე მიიღო პარტიული გამაერთიანებელი ყრილობის მოწვევა. ყრილობა მოწვეულია 18 აგვისტოსათვის.

საოლქო კომიტეტი თანაგრძნობით ეკიდება ამ ყრილობის მოწვევას და მოუწოდებს ამიერ კავკასიის ყველა ორგანიზაციებს, განურჩევლად ფრაქციისა, მიიღონ მონაწილეობა ამ ყრილობაში და აირჩიონ დელეგატები.

საოლქო კომიტეტი იმედოვნებს, რომ ამ ყრილობის შემდეგ პარტია გაძლიერდება, გააერთიანებს რა მთლიან ორგანიზაციაში სხვადასხვა ფრაქციულ მიმდინარეობას.

აქ მოგვყავს ყრილობის დღის წესრიგი:

1) კომისიის ანგარიში,
2) პოლიტიკური მდგომარეობა და პარტიის მიზნები,
3) აგრარული საკითხი,
4) ნაციონალური საკითხი,
5) დამფუძნებელი კრება,
6) პარტიის ორგანიზაცია,
7) არჩევნები პარტიულ დაწესებულებებში.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც ჰყავს 500—1000 წევრი, ირჩევს ერთს დელეგატს. შემდეგ ყოველი ათასი წევრი გზავნის ერთს დელეგატს. თუ ორგანიზაციაში ხუთასზე მეტი წევრია, ის ერთ დელეგატს ირჩევს. ის ორგანიზაციები, რომელსაც ხუთასზე ნაკლები წევრი ჰყავს, შეუერთდებიან მეზობელ ორგანიზაციებს დელეგატის გასაგზავნათ. ხარჯები უნდა იკისრონ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა.

ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტი რუს. სოც.-დემ. მუშ. პარტიისა.

პარტიის გაერთიანებისაკენ.

პარტიის გაერთიანების საკითხი დღიურ წესრიგშია დასმული. პეტროგრადის საორგანიზაციო კომიტეტის კომისია 18 აგვისტოსათვის ყრილობას იწვევს, რომელზედაც სოციალ დემოკრატიული პარტიის—ორთავე მიმდინარეობის ყველა ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრებიან და ბოლშევიკ-მენშევიკები ორგანიზაციულ გაერთიანებას შეეცდებიან.

ყრილობას მეტად მძიმე მოვალეობა ეკისრება. ათხუთმეტი წელიწადი მეტია, რაც სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი და ეს ორი მიმდინარეობა ნებსით თუ უნებლიეთ, მთლიან სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არღვევდა, ორგანიზაციულად ერთი მეორისაგან თიშავდა და მით პროლეტარიატის კლასობრივ შეგნებაში, კლასობრივ თვითცნობიერებაში ერთგვარი არევ დარევა ფეხს იკიდებდა. უკანასკნელი გარემოება კი ხელს უწყობდა უთუოდ პარტიის დასუსტებას და ერთგვარ ძალების დაქსაქსვა-გათიშვას. ძალა ერთობაშია, ერთობა ძალაშია. პროლეტარიატის განუჩეველ თვისებას შეადგენს, რომ იგი მუდამ გაერთიანებისაკენ, მუდამ ერთ მთლიან ორგანიზაციისაკენ მიისწრაფის და ამაში მდგომარეობს მისი კლასობრივი სიძლიერე.

თვით სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები ამ ნიადაგზე მუშაობდნენ და მათ ამ ნიადაგზე არა ერთი და ორი ნაბიჯი გადაუდგამთ და სხვადასხვა მიმდინარეობა ორგანიზაციულათ გაუერთიანებიათ.

ბებელმა და ლიბკნეხტმა ლასალიანები და ეიზენახერები შეაერთეს და ერთი ძლიერი სოციალ დემოკრატიული პარტია გასჭედეს. ამ შეერთების დროს მათ კომპრომისების გაკეთებაც კი მოუხდათ, რაზედაც მათ მარქსის რისხვა-საყვედური დაიმსახურეს. მაგრამ, როგორც იგივე ლიბკნეხტი შემდეგში აღნიშნავს მარქსის საყვედური სამართლიანი არ გამოდგა. ბებელ-ლიბკნეხტის მიერ გადადგმულმა ნაბიჯმა ლასალიანელებთან გაერთიანების მოსახებით ძლიერი სოციალ-დემოკრატიულ პარტიის საფუძველი ჩაუყარეს. დიდი სარგებლობა მოუტანა საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას გედისტებისა და ჟორესისტების გაერთიანებამ და ამ დღიდან იქ მუშათა კლასის გაერთიანება მედგარი ნაბიჯით წინ წავიდა.

ერთი სიტყვით ყველა სახელმწიფოებში სოციალდემოკრატიული პარტიის სხვადასხვა მიმდინარეობა ერთიანდებიან, ერთ ორგანიზაციებს ადგენენ და მუშათა კლასისთვის ძლიერ პოლიტიკურ პარტიას ქმნიან. თვით კარლ მარქსი ძველ ინტერნაციონალში, მთელი თავისი მოღვაწეობით სოციალისტური პარტიების გაერთიანების ნიადაგზე მუშაობდა და ტრედ-უნიონისტების წარმომადგენლები ინტერნაციონალში შეიყვანა.

ამსტერდამის კონგრესზე ბელგიის სოციალისტების ლიდერმა ემილ ვანდერველდემ ყველა სოციალისტური მიმდინარეობის გაერთიანების პრინციპი წამოაყენა და მის ასეთ აზრს ზოგიერთები თანაგრძნობით შეხვდნენ.

და რატომ არ უნდა ვცდილობდეთ, რომ რუსეთში, ამ დიდი რევოლუციის ხანაში, როცა დემოკრატიის თავისუფლებას კონტრ-რევოლუციონერები ყოველ მხრივ თავს ესხმიან და თავისუფლების დასამარება სწადიან, მით უმეტეს, რომ ბოლშევიკებსა და მენშევიკ. შორის პარტიულ ძირითად საკითხებში არავითარი განხვავება არ არსებობს; ორივე ფრაქცია მარქსისტულ მსოფლმხედველობაზეა აშენებული და ამ ნიადაგზე. მათ შორის იოტისოდენა განსხვავება არ არსებობს. თვით გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში არის უფრო რევიზიონისტებსა და ორთოდოქსებს შორის გაცილებით მეტი და დიდი განსხვავება არსებობს, ვიდრე ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის. მიუხედავათ ამისა ისინი ერთ ორგანიზაციაში მუშაობენ, ერთ მთლიან პარტიას შეადგენენ. მათ არა დროს პარტიის გათიშვა, ცალკე ორგანიზაციის დაარსება არ განუზრახავთ და ისინი ერთ პარტიაში მუშაობის დროს უმრავლესობის დადგენილებას ემორჩილებოდენ და ამ გზით პარტიის მთლიანობას არ არღვევდენ. ჩვენ არ ვამბობთ, რომ სოციალ დემოკრატიულ პარტიაში ერთი რომელიმე მიმდინარეობა სავსებით მოისპოს, ერთი-მეორეში სავსებით გაითქვიფოს. ორივე მიმდინარეობა ერთ ორგანიზაციაში პრაქტიკულ მუშაობის დროს ერთი მეორეს დაუთმობენ, უმცირესობა უმრავლესობის დადგენილებას დაემორჩილება და პროლეტარიატის გაერთიანებული მოქმედება გაძლიერდება.

დიახ, პარტიული ძირითადი შეხედულების სრული ერთიანობა შესაძლებელს ხდის ორი მიმდინარეობა ორგანიზაციულად გაერთიანდეს და ერთ მთლიან პარტიათ გადაიქცეს. აქეთ არის ჩვენი სურვილი მიზნდული და ამასვე ესწრაფვის 10 ივლისის მომავალი ყრილობა. ვუსურვებთ ამ ყრილობას ამხანაგურ სალამს და დანიშნულების მიზნის სისრულეში მოყვანას.

ქუთაისის ამრჩეველთა მიმართ

ამხანაგებო და მოქალაქენო! ხმა მიეცით სოციალ დემოკრატიული პარტიის სიას № 1.

დღეს ქალაქის ბედ-იღბალი უნდა გადაწყდეს. დღეს გამოირკვევა დემოკრატიის [illegible].

სხვადასხვა პარტიები ეცილებიან ერთი მეორეს ქალაქის მეთაურობას. მაგრამ ყველა პარტიები და ჯგუფები ორ ბანაკად იყოფიან. ერთ მხარეზეა დემოკრატია სოციალ დემოკრატიის მეთაურობით, რომელიც დღემდის სავსებით განდევნილი იყო ქალაქის საბჭოდან. იქ გაბატონებული იყვნენ მსხვილი ვაჭარ მრეწველნი და სახლის პატრონნი მცონარე ინტელიგენციის მეთაურობით. ფაქტიურათ ყველა დანარჩენი ჯგუფები, როგორც ნაციონალ-დემოკრატები, ისე ფედერალისტები და მათი ამყოლ დამყოლნი დღემდის განაგებდენ ქალაქის ბედ-იღბალს. ძველი საბჭოს მოღვაწეობა ის ყველა ჯურის ნაციონალისტთა საქმეა. და აი დღეს ეს პარტიები დემოკრატიულ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო ომი

ვილენისა და იაკობშტადის მიმართულებით სროლა გაცხოველდა.

რუმინიის ფრონტზე ბრძოლა რაც დრო გადის მკაცრ ხასიათს ღებულობს. ოკნისა და ფოკშანის მიმართულებით ავსტრია-გერმანიის შეერთებულ ჯარს გაფთრებული იერიშები მოაქვს. მართალია აქ რუსეთ-რუმინიის ჯარი მტრის მიერ მოტანილ იერიშებს იგერიებს, მიუხედავათ ამისა მათი მდგომარეობა კრიტიკულია. რუსეთ-რუმინიის ჯარი მალე იძულებული გახდება რუმინიის ტერიტორია დასტოვონ და ბრძოლის ასპარეზათ რუსეთის ადგილები—ბესარაბია გაიხადონ.

კავკასიის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

საფრანგეთის ფრონტზე განსაკუთრებით ლოისას ბრძოლის ხაზზე საფრანგეთ-ინგლისის ჯარმა შემოტევა დაიწყო და ზოგიერთა ადგილებში საგრძნობლათ წინ წამოიწიეს. აქ მათ რამდენიმე ქალაქი და სოფლები დაიკავეს და მრავალი საომარი მასალა ხელთ იგდეს.

მოკავშირე სახელმწიფოების ჯარი თავისი ასეთი მედგარი შემოტევით რუსეთის ჯარის დახმარებას აპირებს და განზრახვა აქვს რუმინიის ფრონტზე მოზვავებული გერმანიის ჯარის ერთი ნაწილი თავისკენ მიიზიდოს.

წარმოიდგინეთ სოციალისტურ სამოსელშიც გამოკაზმულნი და მოქალაქეებს გაბედნიერებას პირდებიან. მათ დასცეს ქალაქის მეურნეობა და ქუთაისი სამაზრო ქალაქამდე ჩამოაქვეითეს, ხოლო ახლა გამომდგარან და ქალაქის განახლებას ლამობენ.

მოქალაქენო! ქალაქის თვითმართველობა მოწოდებულია რევოლიუციის გასამტკიცებლათ და დემოკრატიის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. გახსოვდეთ, რომ რევოლიუციას სოციალ დემოკრატიული პარტია მიუძღვის. მისი გათეთრება ეს რევოლიუციის გათეთრება იქნება. მთელი 20 წელია, რაც ჩვენი პარტია ძველ რეჟიმს გადაჭრით ებრძოდა. და აი ხალხის ძლევამოსილმა გამოსვლამ მეფობა დაამხო და დემოკრატია გაბატონა. ამ ბატონობის განმტკიცება სოციალდემოკრატიის საქმეა.

მაშ ხმა მიეცით სოციალ დემოკრატიულ პარტიის სიას № 1.

ძველი ქალაქის თვითმართველობა აბუჩათ იგდებდა ხალხის ინტერესებს. და ეს იმიტომ, რომ იქ მოკალათებული იყო მცონარე ინტელიგენცია, მსხვილი ვაჭრები და სახლისპატრონნი. ხალხის ინტერესთა გამოხატვა დემოკრატიის საქმეა, თუ თქვენ გსურთ ქალაქის ძველ პირობებში ჩატოვება, თუ თქვენი ინტერესია, რომ ქალაქის თვითმართველობაში ძველი ჯგუფები ბატონობდნენ, ხმა მიეცით ნაციონალ-დემოკრატებს, და ფედერალისტებს, რომელნიც ძველის ქალაქის ბატონ პატრონნი იყვნენ და ის ეკონომიურათ სავსებით დასცეს. მაგრამ თუ თქვენ ისწრაფვით ქალაქი ხალხის საკეთილდღეოთ აამოქმედოთ და დემოკრატიის ინტერესებისათვის გამოიყენოთ, არც ერთი ხმა არ უნდა მისცეთ არც ფედერალისტებს და ნაციონალ დემოკრატებს, არც სოციალ-რევოლიუციონერთ და კადეტებს. მათი გათეთრება ძველი საბჭოს გათეთრებაა, ამ პარტიებისათვის ნდობის გამოცხადება მცონარე ინტელიგენციის უსაქმურობის მოწონება იქნება.

ქუთაისი მუდამ ბურჯი იყო დემოკრატიული მოძრაობისა. თქვენ მიერ არჩეული პირები სახელმწიფო დუმაში მედგრათ და თავგამოდებით იცავდნენ დემოკრატიის ინტერესებს და ნიადაგი მოუმზადეს მეფობისა და მტარვალობის დაცემას. ქუთაისს არ შეუძლია უღალატოს თავის ტრადიციას და მცონარე ინტელიგენციის ბანაკში მოიკალათოს. ის კვლავ წინანდებურათ ერთგული იქნება სოციალ დემოკრატიული პარტიის.

მოქალაქენო! ქართველმა დემოკრატიამ თფილისში თავისი სრული ნდობა გამოუცხადა სოციალ დემოკრატიულ პარტიას. ორივე ნაციონალისტური პარტია—ნაციონალ-დემოკრატები და ფედერალისტები სასტიკათ დამარცხდენ. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას ფედერალისტების შესახებ, რომელთაც ქალაქის საბჭოში სულ 2 ხმოსანი ეყოლებათ. თფილისი თქვენთვის საუკეთესო მაგალითია.

ყველა პარტია სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ ამხედრებულა. და ეს იმ მიზნით, რომ ძალაგავლენა ისევ ძველ ქალაქის საბჭოში გაბატონებულ წრეებს არგუნონ. მაგრამ ცხოვრებამ ნიადაგი გამოაცალა ძველ საბჭოს. ამიტომაც ყველა თქვენი ხმა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას უნდა მისცეთ. ის არის ერთგული დარაჯი რევოლიუციის და საუკეთესო დამცველი დემოკრატიის.

ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიას № 1.

დამფუძნებელი კრების საარჩევნო კამპანია.

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა შემდეგი მოწოდებით მიმართა პროვინციის საბჭოებს და პროფესიონალურ კავშირებს: „ამხანაგებო! აღმასრულებელ კომიტეტს დიდი საკითხები უდგას წინ გადასაწყვეტათ. ახლოვდება დამფუძნებელი კრების მოწვევის დრო. რევოლიუციონურმა დემოკრატიამ ყოველგვარი ღონისძიება უნდა იხმაროს, რათა ამ გადამწყვეტ მომენტს ყოველმხრივ შეიარაღებული და მომზადებული შეხვდეს როგორც ცოდნის, ისე გაერთიანების მხრით.

ასი ათასობით უნდა გამოცემულ და გავრცელებულ იქნას წიგნაკები, სადაც ახსნილი იქნება არჩევნების წესი და მისი განმარტებანი. ლექტორები და ინსტრუქტორები, რომლებიც გაცნობილნი არიან არჩევნების როგორც ტექნიკურს, ისე სხვა მხარეებს, ათასობით უნდა გაიგზავნონ მთელს რუსეთში და ფრონტზე. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ ყოველდღიური საორგანიზაციო სამუშაო, რომელსაც საბჭოს სხვადასხვა განყოფილებებში ვაწარმოებთ და რომლებიც დღითიდღე ფართო ხასიათს ღებულობენ. ასეთებია შრომის, ეკონომიური, სალიტერატურო-საგიტაციო, სამხედრო, საერთაშორისო დამოკიდებულობის და სხ. საკითხები.

ამხანაგებო, ბევრი ფულია საჭირო ყველა ამის განსახორციელებლათ! ჩვენ მოგმართავთ თქვენ მოწოდებით დაეხმაროთ აღმასრულებელ კომიტეტს, რათა მან ეს დაწყებული აუცილებელი საქმენი ბოლომდე მიიყვანოს, რომ მას ამ საქმეში ფულის მხრით დაბრკოლება არ შეხვდეს! დრო ჩვენს განკარგულებაში არ არის, ის არ იცდის! ისტორიული ხანა რომელშიაც ჩვენ ახლა ვიმყოფებით, უფლებას გვაძლევს მსხვერპლის გასაღებათ მოგიწოდოთ. შეიძლება კავშირის ყოველი წევრი თითონ საკუთარის სურვილით შეიწეროს თვიური გადასახადს სამუშაო ხელფასის მიხედვით 10 პროცენტ. ე. ი. თუ კავშირის წევრი, რომელიც დღეში იღებს ხუთ მანეთს თავისი კავშირის კასაში ამ მიზნით შეიტანს ათ შაურს თვიურად, ასეთი საშუალებით იმდენი ფული მოგროვდება, რომ ის საკმაო იქნება საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად არა თუ იმ ქალაქში, სადაც თქვენ ცხოვრობთ, არამედ, ნაწილი ამ თანხიდან შეიძლება გადადებულ იქნას მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაში. ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა თავის თავზე მიიღოს ზრუნვა იმის შესახებ, რომ ფრონტზე ჩვენს ჯარისკაცებს სათანადო ახსნა-განმარტება მიაწოდოს არჩევნების შესახებ და აგრეთვე რუსეთის ისეთ ადგილებსაც მიაქციოს ყურადღება და დაეხმაროს როგორც ნივთიერად ისე სხვა სახით, სადაც ამ მხრივ სიღარიბეა.

ამხანაგებო, ნუ გადადებთ ამ საჩქარო საქმეს! მოჰკიდეთ ამ საკითხის ახსნა-განმარტებას ხელი ყველა თქვენს სადელეგატო თუ სხვა კრებებზე, მოაწყვეთ გადასახადის თვიური შეწერა ზემო მოყვანილი პრინციპის თანახმად, აირჩიეთ თქვენს შორის ფულის შემკრებნი.

საქმე სიჩქარეს მოითხოვს!

საჭირო განმარტება.

საარჩევნო ბრძოლის დროს ჩვენებურმა ესერებმა წყალ გამოღმა შემოგვიტიეს და ერთ კრებაზე გვითხრეს, თითქო ჩვენ 1912 წელს, მეოთხე სახ. დუმის არჩევნებში ბლოკით შევეკავშირდით დაშნაკელებს. მათ მაშინვე მიიღეს ამაზე შესაფერი პასუხი, მაგრამ ახლა „კავკაზსკოე სლოვო“-ში ისევ იმეორებენ ამ ჭორს, რითაც ერთობ გაუხარებიათ ჩვენი ნაციონალისტები.

რაშია საქმე?

1912 წლის საარჩევნო კამპანიის დროს თფილისის საგუბერნიო საარჩევნო ბიუროში ამხ. არ. ერზინკიანცმა განაცხადა, რომ მას იმ დღეს შეხვდა ერთი დაშნაკელი და გადასცა მათი კონფერენციის თუ თათბირის დადგენილება, რომლის ძალითაც თფილისის გუბერნიაში, სადაც მათ თავის კანდიდატის წამოყენება არ შეუძლიათ, ხმა უნდა მისცენ სოც. დემოკრატებს, რომ შოვინისტი ან შავრაზმელი არ გავიდეს. ამასვე თხოულობენ ისინი ბაქოს გუბერნიაში ჩვენის მხრით და გვთხოვეს მოლაპარაკებათ. საარჩევნო ბიურომ მე და ერზინკიანცს მოგვანდო მოლაპარაკება და იქვე განმარტა ლაპარაკის შინაარსიც: მათ დახმარებას თფილისში იმ მხრით, რომ ხმა ჩვენ მოგვცენ, რასაკვირველია ვღებულობთ, ხოლო რაც შეეხება ბაქოს გუბერნიას, ეს სათემო კომიტეტის საქმეა, მაგრამ ჩვენც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამისთვის არავითარი პირობა არაა საჭირო, რადგანაც ჩვენ იქაურ ხმას დაშნაკელები მიიღებენ ჩვენი სარუსეთო კონფერენციის დადგენილების ძალით, რაც ჩვენ გვავალებს: ყველგან, სადაც ჩვენ კანდიდატს ვერ წამოვაყენებთ ხმა მივცეთ ლიბერალებს და საზოგადოთ უფრო მემარცხენეთ მემარჯვენეების წინააღმდეგ. მეორე დღეს ჩვენ შევიარეთ „ორიზონ“-ის რედაქციაში და განვუმარტეთ ყველაფერი, რითაც ისინი კმაყოფილი დარჩნენ. ამავ დროს ვუთხარით, რომ ამ საუბარს მაინც შევატყობინებთ სათემო კომიტეტსათქო. რომლის რეზიდენციაც მაშინ ქუთაისი იყო. რამდენიმე დღის შემდეგ სათემო კომიტეტიდან თბილისში ჩამოვიდა თვით თავმჯდომარე ნ. ჟორდანია და მიგვითითა განმარტებაში დაშვებულ ერთ შეცდომაზე იმ შემთხვევაში, თუ ბაქოს გუბერნიაში დაშნაკელს და შავრაზმელს გარდა ესერის კანდიდატი იქნებოდა წამოყენებული. ამხ. ერზინკიანცმა დაგვარწმუნა, რომ იქ ესერის კანდიდატი არ იქნებოდა, მაგრამ ნოემ მაინც საჭიროთ დაინახა ხელმეორეთ განგვემარტა დაშნაკელთათვის, რომ თუ ესერის კანდიდატი იქნებოდა ბაქოში, ჩვენი ხმა მისთვის უნდა მიგვეცა დაშნაკთა წინააღმდეგ, მაშინაც კი, თუ დაშნაკელები თავის ხმას თფილისში ჩვენ მოგვცემდენ. ეს იმავე დღეს განვუმარტეთ დაშნაკელებს და მათაც საწინააღმდეგო არა უთქვამთ რა. და ასე, ჩვენც და ისინიც ვმოქმედებდით საკუთარ კონფერენციების რეზოლიუციის თანახმად და ერთმანეთს მხოლოდ ეს რეზოლიუციები განვუმარტეთ.

აქედან მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ არავითარი ბლოკი აქ არ ყოფილა. ბლოკი ნიშნავს ვალდებულებას ორივე მხრით, ხოლო ჩვენ, აშკარად ვუთხარით, რომ შავს მივცემდით თუ ესერი გამოჩნდებოდა.

ზ. დათიაშვილი.

დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ. 4—5 აგვისტო).

გაფიცვის გათავება.

ჰელსინგფორსი. საყოველთაო გაფიცვა ჰელსინგფორსში უკვე გათავდა.

ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტროს განკარგულება.

პეტროგრადი. ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ ყველა დეპეშები, ზედწარწერით „მოსკოვის თათბირის საქმის შესახებ“ 10 აგვისტომდე გაიგზავნოს მარიინსკის სასახლეში დროებით მთავრობის კანცელარიაში, ხოლო 10 აგვისტოდან „მოსკოვში ფოსტაში“.

კატორღელების გაქცევა.

ხარკოვი. ხარკოვის ცენტრალურ საკატორღო ციხიდან გაიქცა 8 გამოძიების ქვეშ მყოფი ტუსაღი. ნაწილი დაიჭირეს.

მაძებარ პოლიციის უფროსის დაპატიმრება

ხარკოვი. იუსტიციის მინისტრის განკარგულებით დააპატიმრეს რიგის და ხარკოვის მაძებარ პოლიციის ყოფილი უფროსი გრეგუს მარკოვსკი, რომელიც პოლიტიკურ ტუსაღებს სცემდა. ის ბრალმდებლის განკარგულებაში გადასცეს.

ფინლიანდიის საქმეები.

ჰელსინგფორსი. სენატის კრიზისი ისევ ისეა. დღეს პეტროგრადში მიდის გენერალ-გუბერნატორი, რომელიც მოახსენებს [illegible] დღევანდელ მდგომარეობის შესახებ. მას ეჭვი არა აქვს, რომ მთავრობა უარყოფს გაფიცვის კომიტეტის მოთხოვნაზე შედგეს სოციალისტური სენატი. სტახოვიჩი უკან დაბრუნდება შაბათს და მაშინ გადაწყდება ახალ სენატის შედგენის საკითხი.

ჰელსინგფორსი. სამშაბათს სეიმის განახლდა საბიუჯეტო კომისიის სხდომები. სხდომის გახსნისას სტაროფინების პარტიის წარმომადგენელმა ხელახლა განაცხადა: „ფინლანდიის სეიმი დათხოვნილია დრ. მთავრობის მანიფესტით. მაშასადამე შეკრების უფლება არა აქვს, აგრეთვე საბიუჯეტო კომისიას. მე ამ მიზეზით არ ვღებულობ მონაწილეობას კომისიის მუშაობაში“-ო. მან დასტოვა დარბაზი. კომისიის შემადგენლობა ასეთია: ს.-დ., აგრარიები და ქრისტიანი მუშები. გუშინ კომისია განაგრძობდა მუშაობას.

მოსკოვის თათბირი.

პეტროგრადი. მოსკოვის სახელმწიფო თათბირზე დასასწრებლათ ბილეთებს გასცემენ მოსკოვში 11 და 12 აგვისტოს. ბილეთები მიეცემა იმას, ვინც წარადგენს შესაფერ დოკუმენტს.

დრ. მთავრობის განკარგულებით სახელმწიფო თათბირზე მოსკოვში 12 და 14 აგვისტოს მოწვეულნი არიან ოთხივე სახელმწიფო დუმის წევრები. კერძო მოწვევა არ იქნება, რადგან ყველას მისამართი არ იციან.

ყირგიზების თავდასხმა.

ზაისანი. ჩინელი ყირგიზები თავს ესხმიან რუსებს მონგოლეთში—შარასუმის და კონდუკოლის მიდამოებში. რაზმის უფროსი დახმარებას თხოულობს. შარასუმში გამოცხადებულია სამხედრო წესები.

ხმების უარყოფა.

პეტროგრადი. შეერთებულ შტატების სამხედრო ატაშეს რუსის ოფიცრები ხშირათ თხოვენ ჩაიწერონ ისინი ამერიკის ჯარში, ასეთებს თითქოს მიეცემა 8 თვის თავისუფლება ინგლისურ ენის შესასწავლათ და თითქოს ამერიკაში ეწყობა 100 პოლონეთის, ჩეხელების, სომხების და სხვა ლეგიონები და ამისთვის მოუწოდებენ რუსის ოფიცრებს ჩაეწერონ ამერიკის ჯარში. ამის შესახებ მთავარი სამართველო გენერალური შტაბისა აცხადებს, რომ მოყვანილი ხმები უსაფუძვლოა და ვრცელდება ალბათ გერმანელ აგენტების მიერ, რომ შეცდომაში შეიყვანონ რუსი ოფიცრები.

ძველი რევოლიუციონერების კრება.

პეტროგრადი. 3 აგვისტო. მიხაილოვის თეატრში გაიხსნა კრება, რომელსაც დაესწრენ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწენი, ინტელიგენციის, სამხედრო პირების წარმომადგენლები. აგრეთვე მატროსები და ჯარისკაცები. მიტინგი რევოლიუციონური და პატრიოტული სულისკვეთებით განსაკუთრებული იყო. მიტინგი გახსნა 70 წლების რევოლიუციონური მოძრაობის ბელადმა ჩაიკოვსკიმ მის გვერდით იდგნენ: ლოპატინი, კროპოტკინი, ზასულიჩი, ბრეშკო-ბრეშკოვსკაია. შემდეგ სოც. დემ. პ. დამარსებელნი—შლისელბურგელები გარდა ამისა ბევრი ძველი მოხუცებული კატორღელები. სიტყვები სთქვეს: ბრეშკო-ბრეშკოვსკაიამ, კროპოტკინმა, დეიჩმა, ვერა ზასულიჩმა, შვეცოვმა და სხვებმა. ილაპარაკეს ყოფილმა ოფიცრებმა. ორატორები მოუწოდებდენ სამშობლოს დასაცავათ, გერმანიის დესპოტიზმის წინააღმდეგ საბრძოლველათ და ყველა ძალების შემოკრებას დრ. მთავრობის ირგვლივ. ცხარე პროტესტი გაისმოდა ციმერვალდიზმის წინააღმდეგ. კროპოტკინის და ბრეშკო-ბრეშკოვსკაიას სიტყვებმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინეს. ისინი ეხებოდნენ რუსეთის ხალხის განათლების შესახებ. ბოლოს ოვაციები გაუკეთეს რევოლიუციის ძველ ბელადებს.

საქალაქო არჩევნები.

კიშინიოვი. არჩეულ ხმოსანთა უმრავლესობა სოციალისტურ ბლოკს ეკუთვნიან.

ყოფილი პოლიციელები.

ოდესა. სამილიციო უბნის ერთმა კომისარმა განაცხადა, რომ მილიციამ აღმოაჩინა ოდესაში ყოფილი ბოქაულები, მათი თანაშემწენი და გოროდოვოები. ასეთები ბლომათ გამგზავრებულან ფრონტზე. ადგილობრივ კი ჯარისკაცების ცოლებთა შორის მღელვარებაა, რაც გამოწვეულია ყოფილი პოლიციელების ცოლების აგიტაციით. კომისარი სთხოვს მიიღონ ზომები მათ წინააღმდეგ.

გერმანიაში.

სტოკჰოლმი. ბერლინიდან იუწყებიან, რომ იმ ქარხნებში, რომლებიც თავდაცვის საქმისთვის მუშაობენ კვლავ გაფიცვის მოწოდებები ვრცელდება.

არეულობა ისპანიაში.

პარიზი. 3 აგვისტო. მადრიდიდან იუწყებიან: ბარცელონაში მეამბოხენი კერძო სახლში დაიმალენ და იქიდან ასტეხეს სროლა. მოკლეს კაპიტანი. მეამბოხეებს ბლომათ მოუკლეს და დაუჭირეს. საბადელში მოკლეს ორი ჟანდარმი, დაიჭირეს 3. მეამბოხეთა ზარალი დიდია. შუადღისზე დატომ განაცხადა, რომ საერთო გაფიცვა მარცხით გათავდაო. მთელ პროვინციაში ბლომათ აპატიმრებენ მეამბოხეებს.

საზოგადო სამუშაოთა მინისტრმა განაცხადა, რომ მიმოსვლა გზებზე ნორმალურია. ბილბაოში მოვიდა ჯავშნიანი გემი „ალფონსო 13“. ბარცელონაში გამოდის ყველა გაზეთი. მოელიან ჯავშნიან გემს „ესტრამადურას“. კატალონიაში მდგომარეობა სერიოზულია. გაფიცვამ ფართო ხასიათი მიიღო და მთელი ოლქი მოიცვა. 2 აგვისტოდან მცხოვრებლებმა მუშაობას თავი დაანებეს. მატარო, საბადელში და ტარასაში სერიოზული მღელვარებაა. ასტურიაში მდგომარეობა სერიოზულია. ბევრი გაზეთი არ გამოდის. რეპრესიულ ზომებს ღებულობენ.

რუმინიის მეფე რუსეთში.

ოდესა 29 ივლისი. რუმინელ მოხელეთა სიტყვით რუმინიის მეფეს ოჯახობას თავის რეზიდენციათ აურჩევია ფალცფეინის მამული „ასკანია ნოვა“. (ხერსონის გუბერნიაში).

კორნილოვის აზრი რუსეთის არმიის შესახებ.

პეტროგრადი. უმაღლეს მთავარ სარდალ კორნილოვს ჟურნალისტებთან საუბრის დროს განუცხადებია, რომ ფრონტზე მიღებულ ზომების მიერ რუსეთის ჯარის სულიერი განწყობილება გამოკეთდა და მისი ბრძოლის უნარი საგრძნობლათ გაიზარდა, რომ იგი სავსებით გამოკეთდეს საჭიროა მთელი რიგი ზომებისა—უთქვამს მთავარ სარდალს და მას ამ ზომების შესახებ პროექტი დროებითი მთავრობისთვის უკვე წარუდგენია. კორნილოვის აზრით რუსის ჯარის მდგომარეობა სამხრეთ-დასავლეთის და რუმინიის ფრონტზე გამოკეთდა. რუმინიის ფრონტზე ახლო მომავალში ფართო იერიშებს დავიწყებთ. შესაძლებელია ასეთივე იერიშები დავიწყოთ დანარჩენ ფრონტებზედაც — განსაკუთრებით ჩრდილოეთით. შესაძლებელია აქ მტრის ხმელეთის ჯართან ერთად საზღვაო ჯარმაც მიიღოს მონაწილეობა. კორნილოვის აზრით საზამთრო კამპანია უზრუნველყოფილია.

პროფესიონალურ კავშირთა ყრილობა.

პეტროგრადი. 5—10 აგვისტომდე მოხდება ურალის პროფესიონალურ კავშირთა საოლქო ყრილობა.

გერმანიის გზით დაბრუნებულნი.

პეტროგრადი. პოლიტიკურ განთავისუფლებულთა დამხმარე საზოგადოებამ გადაწყვიტა არავითარი დახმარება არ აღმოუჩინოს იმ ემიგრანტებს, რომლებიც გერმანიის გზით რუსეთში დაბრუნდენ.

დამფუძნებელი კრება.

პეტროგრადი. საგანგებო თათბირის წევრები: ბრამსონი, ვინავერი, ვიშნიაკოვი, გესსენი, გომბარტი, გრონსკი, კროხმალი, ლელიუხინი, ლორთქიფანიძე, მაკლაკოვი, ნოლდე, ლეონტოვიჩი, ფუკეევი და იაცუნსკი დაინიშნენ სრულიად რუსეთის საარჩევნო კომისიის წევრებათ, რომელსაც მინდობილი აქვს დამფუძნებელი კრების საარჩევნო საქმეები.

კერენსკის თავმჯდომარეობით შესდგა დროებითი მთავრობის თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო მთავარ სარდალმა კორნილოვმა. თათბირს მსჯელობა ჰქონდა ფრონტის ზოგიერთი საკითხების შესახებ.

სოც.-დემოკრატიული ყრილობა.

კიევი. გაიხსნა მენშევიკთა საოლქო ყრილობა. წარმომადგენელნი არიან ხუთი გუბერნიიდან. და სულ 100 ზე მეტი დელეგატი. მიწის საკითხის შესახებ ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობას ნაციონალიზაციის საშუალებით. ეკონომიური არეულობისა და ექსპროპრიაციების თავიდან ასაცილებლათ უნდა მოხდეს მიწების გამოყიდვა მთავრობის მიერ დაწესებულ ფასებში. მიწები უნდა დაურიგდეს საკუთრებათ ან დროებით მოსახმარათ უმიწაწყლო ან ცოტა მიწის მქონე გლეხებს.

თვითნებობა.

ნიჟნი ნოვგოროდი. სორმოვის ქარხანაში მუშებმა ერთი ხელოსანი „ტაჩკით“ გამოიტანეს ქარხნიდან. ამის შემდეგ შრომის მინისტრის ამხანაგმა გვოზდევმა დეპეშით აცნობა მუშებს, რომ ასეთი თვითნებობა მუშების მხრით შეუძლებელია, სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი ამის ჩამდენი მუშები-ო. მუშების კრება მუშაობის დროს ქარხანაში არ შეიძლება, თუ განსაკუთრებული პირობები არ არის-ო. ამ დეპეშის გამო ცეხის მამასახლისთა კრებამ გაკიცხვა გამოუცხადა ასეთი თვითნებობის ჩამდენ მუშებს.

„ოხრანკა“.

ოდესა. ნიკოლაევში საგანგებოთ გაგზავნილმა მწერალმა ოსიპოვიჩმა გამოარკვია ერთი რევოლიუციონური მოღვაწის პიროვნება, რომელიც ნიკოლაევის ქარხნების გაფიცვის დროს გაუგზავნიათ პეტროგრადში და რომელსაც სახელმძღვანელო დირექტივების მისაღებათ მალინოვსკისთან შეუვლია. დამტკიცებულია, რომ ეს პირი „ოხრანკის“ თანამშრომელი ყოფილა. ის თურმე აქამდეც თვალსაჩინო როლს ასრულებს რევოლიუციონურ ორგანიზაციებში.

საქალაქო არჩევნები.

ყაზანი. საქალაქო არჩევნებში ჩისტოპოლში სოციალისტურმა ბლოკმა გაიყვანა 13 ხმოსანი, მუსულმანებმა—9, ხალხის თავისუფლების პარტიამ—7, უპარტიოებმა—3, სტაროობრიადცებმა—2, გლეხებმა 2, მდაბიო მოქალაქეებმა და მოხელეებმა—თითო ხმოსანი.

ცარიცინის ჯარი.

ცარიცინი. ის ჯარი, რომელიც ამას წინეთ ფრონტზე წასვლაზე უარს აცხადებდა, ახლა დასთანხმდა. საერთოდ, ამ უკანასკნელად ჯარის სულიერი განწყობილება დიდად შეიცვალა.

სტოკჰოლმის კონფერენცია.

სტოკჰოლმი. ინგლისის მთავრობამ სტოკჰოლმის კონფერენციაზე დელეგატებს პასპორტების მიცემაზე უარი უთხრა. ამის შესახებ „ფორვერტსი“ სწერს: ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობას გადაუწყვეტია ომი გერმანიის დანგრევით დაამთავროს. ეს იმას ამტკიცებს, რომ დასავლეთის სახელმწიფოები რუსეთში არსებულ მიმდინარეობებს მხარს არ უჭერენ ზავის ჩამოგდების საქმეში. გაზეთი აცხადებს, რომ ამით ინგლისმა ომი გამოუცხადა საერთაშორისო სოციალიზმს.

სტოკჰოლმის კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის მდივანმა გიუისმანსმა განაცხადა, რომ დელეგატებისთვის პასპორტების მიუცემლობით დასავლეთის სახელმწიფოებმა კავშირი გასწყვიტეს იმ სოციალ-დემოკრატებთან, რომლებიც ამ ომის დროს სამოქალაქო ზავის მომხრენი იყვნენ. მათი ასეთი გათიშვის შედეგზე ჯერ არ შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ ამის მიზეზით კონფერენცია არ გადაიდება. ამერიკის დელეგატები სტოკჰოლმში იმყოფებიან და რათაც არ უნდა დაუჯდეთ, სურთ კონფერენციაში მონაწილეობა. რაც შეეხება რუსეთს, როგორც ჩანს, კერენსკის სურს კონფერენციის გადაწყვეტილებაზე შემდეგ იმსჯელოს, რის საწინააღმდეგო არაფერი არ უნდა გვქონდესო.

პარიზი. „პტი ჟურნალში“ პიშონი კაცობრიობის ყურადღებას მიაქცევს სტოკჰოლმის კონფერენციისაკენ და აღნიშნავს, თუ რა საშიშროებას უმზადებს ის კაცობრიობას. მისი აზრით პასპორტების მიუცემლობას საფრანგეთის სოციალისტები არ ინაღვლებენ. თუმცა მათ სურდათ სტოკჰოლმის კონფერენციაზე საკითხის დასმა იმის შესახებ, თუ ვინ არის ამ ომის დაწყების პასუხისმგებელი, მაგრამ გერმანიის დელეგატის მიხაელისის მიერ წამოყენებული ვალდებულობა გვეუბნება, რათა კონფერენციაზე მონაწილეობის წინააღმდეგნი ვიყოთ.

რენოდელი „ჰუმანიტეში“ სწერს, რომ მთავრობის სათავეში მყოფმა პირებმა დიდი შეცდომა დაუშვეს პასპორტების მიუცემლობით.

საქალაქო არჩევნები.

დონის როსტოვი. აზოვში სოციალისტურმა ბლოკმა გაიყვანა 33 ხმოსანი, ხალხის თავისუფლების პარტიამ—6, შრომის ჯგუფმა—4, და უპარტიოებმა—2.

დონის რაიონში ყურძნის მოსავალი საშუალოა. ადგილობრივათ ყურძენი ღირს ფუთი 19—20 მან.

დიზენტერია.

რიგა. ქალაქში დიზენტერია მძვინვარებს. დღეში ავათ ხდება 65 კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის დეპეშები.

(პეტ. ტელ. სააგ.)

პეტროგრადი. 4 აგვისტო. ოკნის მიმართულებით 3 აგვისტოს გერმანელებმა დილიდანვე განაახლეს იერიშები. იერიშები მიჰქონდათ მათ სლონიკის რაიონში დესტაკლერიის ქარხნის მიდამოებში. უკანასკნელი პუნქტის სამხრეთისა და ჩრდილოეთით მტერმა შესძლო რამდენიმე სანგრების დაკავება, მაგრამ რუმინიის სათადარიგო ჯარის კონტრიერიშებით ისინი გამოდევნილ იქნენ და აღდგენილ იქნა წინანდელი მდგომარეობა. მდინარე სუშიცის დაბლობებში სოვეჯის სამხრეთ-აღმოსავლეთით მთელი დღე 3 აგვისტოს ცხარე ბრძოლა სწარმოებდა. რუმინელებმა შეინარჩუნეს თავიანთი პოზიციები და მოიგერიეს მტრის თავგამოდებული იერიშები. ფოქშანის მიმართულებით მობილიცზე მოიტანა მტერმა იერიშები 3 აგვისტოს ღამით. იერიშები მოგერიებულ იქნა. ჩვენი ჯარის ზოგიერთმა ნაწილებმა სამხრეთით დაიხიეს. რუმინიის სათადარიგო ჯარებმა აქ აღადგინეს წინანდელი მდგომარეობა.

კავკასიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

მოქმედი არმია. 2 აგვისტო. კრევო-სმორგონის ნაწილში გერმანელებმა ჯარების წინ წამოწევა დაიწყეს. მათ შესავსებად ჯარები თანდათან ემატებათ. სმორგონის სამხრეთით გერმანელები შეეცადნენ ჩვენი გამაგრებული ადგილების დანგრევას, მაგრამ დიდი ზარალით უკან დავახევინეთ.

ადიჟა. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ფოქშანის მიმართულებით ბრძოლას მკაცრი ხასიათი აქვს. ზარალი ორივე მხრით, საგრძნობია. ბრძოლა გრძელდება. რუს-რუმინიის ჯარები თითოეულ მტკაველ მიწას თავ-გამოდებით იცავენ. მტრის უკანასკნელი იერიშები მოგერიებულ იქნა. აქ მტერმა დიდი ზარალი ნახა. ოკნის მიმართულებით რუმინიის ჯარმა ცოტათი გაიუმჯობესა მდგომარეობა. ამავე დროს ადგილობრივი პირობების გამო, რომელიც ხელსაყრელი არ არის ჩვენთვის, ჩვენმა ჯარმა დასტოვა რამოდენიმე გამაგრებული სიმაღლეები და დაიხია სალონლოუსკენ.

სევასტოპოლი. ოსმალეთის ნაპირზე ჩვენმა გემებმა დალეწეს მტრის ბევრი იალქნიანი გემები.

ბოსფორის ყურეში ჩვენმა წყალქვეშა ნავმა ჩაძირა გერმანიის გემი.

ჩვენმა აეროპლანებმა 1 აგვისტოს კურლიანდიაში ზღვის ნაპირებზე ყუმბარები ჩაყარეს მტრის ბანაკში და იქ ცეცხლი გააჩინეს.

მტრის 16 აეროპლანი თავს დაესხა რიგის ყურის კუნძულებს. ჩვენს აეროპლანებს მტრის აეროპლანებთან ბრძოლა მოუხდა. ზარალი არ მოსვლია.

პარიზი. 2 აგვისტო. დიქსმიუდის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია. იურტებიზა, კრაონის რაიონში სასტიკი საარტილერიო სროლა დაიწყო. ფოკლერის მიდამოებთან გერმანელების იერიში მარცხით დამთავრდა. საარტილერიო სროლა გაცხოველდა მდ. მაასის ორსავე ნაპირას. ამავე მდინარის მარცხენა ნაპირას 304 მაღლობთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ჩრდილოეთით ბელგიაში, შამპანში, მდ. მაასის ორსავე ნაპირებთან და ელზასში საარტილერიო სროლაა. ფუი-დე-პარის რაიონში მტერს თავს დავესხით და მრავალი სამხედრო მასალა წავართვით. ტერმარემ 100-ზე მეტი ყუმბარა ესროლა.

ლონდონი. 2 აგვისტო. საფრანგეთის ფრონტზე, ჰუგის ტყესთან მტრის სანგრებს თავს დავესხით. ლოოსის ჩრდილო-აღმოსავლეთით მტრის სანგრების პირველი წყება დავიკავეთ და იერიშებს განვაგრძობთ. იენ მელის აღმოსავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. დიკს ხოოტეს აღმოსავლეთით მოკავშირეების ჯარმა საგრძნობლად წინ წაიწია.

ლონდონი. 3 აგვისტო. ლოოსის ფრონტზე კანადის ჯარმა მტრის რამდენიმე სანგრები დაიკავა. ლოოსსთან გერმანელების გამაგრებული ადგილი „701“ დავიპყრეთ. ქ. სენტ-ოგიუტის ფრონტზე გერმანელების პოზიციებში შევიჭერით და დიდ მანძილზე წინ წავიწიეთ. ამ ბრძოლის დროს ჩვენ დავიკავეთ სენილი, სამეტი, სენ ლორანი, დავიკავეთ რავის ტყე და ჰუგის ტყის ერთი ნაწილი. იპრის ფრონტზე მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

ახალი ამბები

დღეს, 6 აგვისტოს, ნაშუადღევის 4 საათზე ქალაქის სამმართველოში დანიშნულია კრება სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის. ამხანაგებს სთხოვენ არ დაიგვიანონ.

◆ **პურის მისაღები ბარათები.** ხვალიდან საუბნო სასურსათო კომიტეტებში დაიწყება პურის მისაღები ბარათების დარიგება. ბარათების მიღება შეიძლება შაქრის მისაღები ბარათების ან პირადი მოწმობის წარდგენით.

◆ **მ. და ჯ. დეპ. საბჭოს მუშათა სექცია** ხვალ გაარჩევს საკითხს თავის სტამბაში (მეტეხის ტიპ.) მომუშავეთა ხელფასის გადიდების შესახებ.

◆ **მუშათა სექციამ** სასურსათო საკითხის განხილვის დროს დაადგინა, იმ პირთ, რომლებიც ინტელიგენტურ შრომას ეწევიან და თვეში ღებულობენ არა უმეტეს 300 მანეთისა მიეცეთ პური განსაზღვრულ ზომაზე მეტი.

◆ **ქართულ სასცენო მოქმედთ საზოგადოების** მთავარმა გამგეობამ ახალციხის განყოფილებას გადასცა 1500 მან., ხოლო ართვინისას—100 მან.

◆ **მუშათა სექციის დადგენილება.** ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებული გვქონდა ცნობა მუშა ალიბაბოვისა და მიკირტუმოვის შესახებ. მათი საქციელის გამო მუშათა სექციამ საჭიროთ სცნო მიეცეს მათ დახმარება ბოზარჯიანცის ფაბრიკიდან.

◆ **გ. ზდანევიჩის გარდაცვალების გამო** ტ. ქ. გამ. საზ. გამგეობამ გადასწყვიტა გვირგვინის ნაცვლად შეწიროს რომელიმე კულტურულ დაწესებულებას 100 მან. დასაფლავებაზე წარმომადგენლად გაგზავნოს ნინო ნაკაშიძე.

◆ **მ. და ჯ. ქ. დეპ. საბჭოს სამხედრო სექციამ** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტში წარმომადგენლებად გაგზავნა ლუკიანოვი, აფონსკი, კერესელიძე, რიაბოკობილოვი და სარქისოვი.

◆ **სახალხო სკოლების მასწავლებელთა** კავშირის ფოთის განყოფილება 10 აგვისტოს იწვევს კრებას, რომელზედაც უნდა აირჩიონ სახალხო სკოლების დირექტორ-ინსპექტორები. წევრებს სთხოვენ უსათუოთ დაესწრონ კრებას, რადგანაც გასარჩევი არის სხვა ფრიად საჭირო კითხვებიც.

◆ **თფილისის საქონლის სადგური.** 4 აგვისტოს ადგილობრივ კომიტეტის წევრებმა დაათვალიერეს სადგურის ის ნაწილი, სადაც იცლება საზამთროებით და ხილეულობით დატვირთული ვაგონები. აქ გამართული ვაჭრობა და ამით გამოწვეული არევ-დარევა ძლიერ უშლის ხელს მუშაობას. ამიტომ კომიტეტის წევრებმა წინადადება მისცეს ვაჭრებს შემდეგში არ გამართონ ხილეულობით ვაჭრობა სადგურზე.

◆ **კურსები მასწავლებელთათვის.** ამ დღეებში ქ. სოხუმში გაიხსნება მასწავლებელთათვის კურსები. ხელმძღვანელად მოწვეულია ვ. ბურჯანაძე.

◆ **სახელმძღვანელო წიგნები.** იბეჭდება ს. იაშვილის „საზოგადო გეოგრაფია“ 5 ათასი ცალი; მისივე „ბუნების მეტყველება“—10 ათასი ცალი.

◆ **პროპაგანდისტთა კოლეგიას** 15—31 ივლისამდე მოუწყვია სულ 71 კრება-მიტინგი.

◆ **ახალი ჟურნალი.** რედაქციამ მიიღო ივ. პ. როსტომაშვილის რედაქტორობით გამოცემული ახალი ჟურნალის № 1 „შინა გიმნაზია და უნივერსიტეტი“.

◆ **სენაკის რაიონის სახალხო მასწავლებელთა საყურადღებოთ.** საორგანიზაციო ბიურო აცხადებს, რომ დანიშნული 7 აგვისტოსთვის კურსების გახსნა მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო გადაიდო სხვა უფრო მოხერხებულ დროისათვის.

◆ **ყრილობის დახურვა.** გუშინ დაიხურა მოწყალე დების ყრილობა.

◆ **სეირნობა-კონცერტი.** 13 აგვისტოს ვერის პარკში რაჭველ-ლეჩხუმელთა დამხმარე კომიტეტი თავის ფონდის გასაძლიერებლად მართავს სეირნობა-კონცერტს.

◆ **სურსათი.** 4 აგვისტოს თფილისში შემოიტანეს 4 ვაგონი ფქვილი და 1 ვაგონი შაქარი.

◆ **სამგლოვიარო დეპეშა.** ამხ. მ. ახმეტელაშვილისაგან მივიღეთ სამგლოვიარო დეპეშა სტ. თაბუკაშვილისა და კილასონიას გარდაცვალების გამო.

კრებები და მიტინგები.

სამშაბათს, საღამოს 8 ს., ქალთა პირველ გიმნაზიის შენობაში დანიშნულია ამიერ-კავკასიის მარქსისტ მოსწავლეთა კავშირის თფილისის კოლექტივის წევრთა კრება. გასარჩევია მეტად საჭირო კითხვები და ვსთხოვთ ამხანაგებს დაესწრონ კრებას.

—დღეს, საღამოს 6 ს. მუსულმანთა სამკითხველოში (Ботаническая ул.) დანიშნულია მუსულმანთა კომიტეტის წევრთა კრება.

— დღეს, დილის 9 ს. დანიშნულია ლიმონათის ქარხნებში მომუშავეთა კრება. (პეტრე-დიდის ქუჩა № 18) გთხოვთ ნუ დაიგვიანებთ.

— დღეს, დილის 10 ს. სახალხო სახლის თეთრ დარბაზში შესდგება სხდომა კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის წევრებისა. დღის წესრიგი 1) ამხ. კუზნეცოვის მოხსენება მთავრობის დაწესებულებათა მოწყობის შესახებ; 2) ამხ. ვაჩერიოვის მოხსენება მილიციის შესახებ; 3) მოხსენება ჩრდილო კავკასიაში სასურსათო საქმის მდგომარეობის შესახებ; 4) მოხსენება „თავისუფლების სესხზე“; 5) მოსკოვის თათბირი; 6) [illegible] მოხსენება; 7) მიმდინარე საქმეები. სხდომა კანონიერათ ჩაითვლება, რამდენიც არ უნდა დაესწროს წევრი.

— მე 4 საარჩევნო უბნის რ. ს. დ. მ. პ. კომიტეტი იწვევს წევრებს დღეს, საღამოს 5 ს. კათოლიკეთა სკოლის შენობაში.

— დღეს, საღამოს 6 ს. კავკასიის ექიმთა საზოგადოების შენობაში (ალექსანდრეს ბაღთან) შესდგება თავისუფალ მოაზროვნეთა კავშირის წევრთა კრება.

— მებეღე-მუშათა პროფ. კავშ. გამგეობა იწვევს საგანგებო კრებას დღეს, საღ. 3 საათ. ორთაჭალაში, „ელდორადოს“ ბაღში. ვსთხოვთ ამხ. მუშებს აუცილებლად დაესწრონ კრებას. კავშირის გამგეობა.

— ხვალ, საღამოს 9 ს., პირველი საქალებო გიმნაზიაში, (ლორის-მელიქ. ქუჩ. № 12) დანიშნულია მეორე საერთო კრება ფარმაცევტებისა. დღის წესრიგი: 1) ოთხი თვის ანგარიში კავშირისა, 2) გამგეობის არჩევა, 3) მიმდინარე საკითხი. კრება კანონიერი იქნება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

გორჯომს

1.

მე აქ მოვედი მზის სანახავათ,
შენ კი თავს ჯანღი მოგახვევია,
რაც ასე მძულდა დასანახავათ,
რის გამო ბევრჯელ სევდა მწვევია!
გადაიყარე ეგ შავი ნისლი,
რომ ვნახო შენი შვენება სრული,
თორემ ძარღვებში გაყინდა სისხლი
და კაეშანმა მოიცვა სული!

2.

ჰა, ეგრე, ეგრე... ვიშ, რა რიგ გშვენის
განიერ მხრებზე ოქროს პორფირი!..
შენდა საქებრად ხამს ენა ბრძენის,
ენა-მეტყველი, ენა-მოქნილი.
ვისმა ტიტანმა ხელმა აგზიდა
მზის სამეფომდე, ვით ნათლის სვეტი?
ან ალმასები ყურთ ვინ დაჰკიდა,
მოგაზურმუხტა უცხოთ საჰკრეტი?

3.

ზურმუხტ კუნძულებს, მხარ-ბეჭზე დაჰყრილს,
როცა გივარცხნის სიო ფრთამალი,
მეც შენა კალთებსა, ხავერდათ გაშლილს,
თავსა ვაფარებ გრძნობით მთვრალი;
და ჩემი ფიქრი, მოუსვენარი,
ელვის სისწრაფით გევლება თავსა
და შენთან ერთად მუსიკობს ქნარი
და მივაცურებ ოცნების ნავსა;
თვალწინ მიდგება ის დრო ნეტარი,
როდესაც შენით დასტკბება ერი:
ყველას ერგება შენი ნექტარი,
ყველა იქნება სვე-ბედნიერი!

გ. რუხაძე.

— 8 აგვისტოს, საღამოს 7 ს. სახალხო სახლში დანიშნულია მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციის წევრთა საერთო კრება. დღის წეს-რიგი: 1) შრომის სამინისტროს კომისარის დანიშვნა თფილისში; 2) 9 წარმომადგენლის არჩევა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში; 3) ცენტრალური მომრიგებელ კამერის წევრთა ხელ-ახალი არჩევნები; 4) სხვადასხვა საქმეები.

— დღეს, დილის 10 საათზე, დანიშნულია (პეტრე დიდის ქ. № 18) დურგლების, ხარატების, მეკუზოვეთა, ბოჭკის მკეთებელთა და სხ. პროფესიონალურ კავშირის წევრთა კრება. ვსთხოვთ ამხანაგებს არ დააკლდნენ კრებას.

— დღეს, დილის 9 ს. ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლის შენობაში (ანდრეევის ქ. № 42) დანიშნულია თამბაქოს ქარხნებში მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის წევრთა და კოლოფების მკეთებელთა საერთო კრება. დღის წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება, 2) წესდების განხილვა; 3) საწევრო გადასახადი; 4) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა; 5) ახალი მოთხოვნილებანი; 6) საკითხი მდივნის შესახებ. კავშირის გამგეობა სთხოვს ამხ. მუშებს აუცილებლად გამოცხადდნენ კრებაზე დანიშნულ დროს.

— დღეს 7 აგვისტოს ვერის რ. ს.-დ. მ. პ. კლუბში (ვერის ქუჩა № 3) გაიმართება საღამო. წაკითხულ იქნება ლექცია: დამფუძნებელ კრებაზე. აგრეთვე წარმოდგენილ იქნება: სიძე სიმამრი, 3 მოქ.

— დღეს, საღამოს 5 ს. ქალაქის სანერგეში დანიშნულია ოსების საორგანიზაციო კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოების წევრთა საერთო კრება.

პროვინციის ქრონიკა.

ხოფ იტრია (ყვირილის რაიონი) 28 ივლისს, იტრიის სასწავლებელში მოხდა მეშვიდე ოლქის სამღვდელოების საზოგადო ყრილობა საოლქო საბჭოს ასარჩევად. თავმჯდომარეთ აირჩიეს მღ. ის. მაჭარაშვილი. კრებას თავიდანვე დიდი მღელვარება ეტყობოდა, რადგან სამღვდელოება ორ ბანაკათ იყო გაყოფილი და თვითეულს განზრახვა ჰქონდა თავისი კანდიდატი გაეყვანა. ბოლოს ერთმა მხარემ მაინც გაიმარჯვა თუმცა დიაკვნების დახმარებით და აირჩიეს მღ. იოსებ შენგელაშვილი. ამ არჩევამ დიდი აურ-ზაური ასტეხა.

ხაშურის რაიონი თვეზე მეტი გადაცილდა ვადას და რაღაც მიზეზისა გამო ხაშურის რაიონში დღევანდლამდე არ რიგდება ომში გაწვეულ ჯარისკაცთა ოჯახების ფულები (პაიკები). გაჭირვებული ქალები და მოხუცებულები ჯგუფ ჯგუფათ დადიან და თხოულობენ ხვედრ ფულს. ეს მაგალითი ბევრ მეორეთ განმეორდა. საჭიროა ხაშურის რაიონის აღმ. კომიტეტმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და მოახდინოს განკარგულება, რომ ფული საჩქაროთ დარიგდეს.

უმუშევრობა.

ამ ჟამად შრომის სამინისტრო იმის ცდაშია, რომ გამონახოს რაიმე საშუალებანი მომავალ უმუშევრობასთან საბრძოლველათ. ამ საკითხის გასარკვევათ ამ დღეებში შრომის მინისტრის ამხანაგის კოლოკოლნიკოვის თავმჯდომარეობით შესდგა საგანგებო თათბირი. თათბირში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა უწყებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა. გამოირკვა, რომ ახლავე იხურება ბევრი ქარხნები, ყოველ დღე უმუშევართა რიცხვი ათასობით მატულობს. ამ ჟამათ თუ ასეა საქმე, რაღა იქნება ომის გათავების შემდეგ,—როცა უმუშევართა რიცხვი მთელს სახელმწიფოში მართალა აუარებელი იქნება?

უწყებათა წარმომადგენლების მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მთავრობას აზრათ ქონებია სხვადასხვა საზოგადოებრივი ხასიათის სამუშაოების შექმნა სახელმწიფოში. ჯერ ჯერობით ასეთ სამუშაოთ ჩაითვლება:—სარწყავი არხების გაყვანა თურქესტანის მხარეში და რუსეთის სამხრეთ აღმოსავლეთ ადგილებში, ჰიდრო-ტეხნიკური სამუშაო სამხრეთ რუსეთში, საერობო გზების გაკეთება, ხე-ტყისმასალისა და შეშის დამზადება, სათბობი მასალის მიწანელას (ტორფ) დამუშავება. ამ სამუშაოების, შესასრულებლათ ბევრი მუშა ხელი იქნება საჭირო. მაგ., როგორც გამოირკვა, სარწყავ და ჰიდრო-ტეხნიკურ სამუშაოზე ათი ათასობით იქნება საჭირო მუშა ხელი, საერობო გზატკეცილების გაყვანის პროექტები ბევრი დამტკიცებული ყოფილა. სახაზინო გზების გაკეთება ახლო ხანში დაიწყება. სათბობი მასალის შემძენი კომიტეტი ახლო ხანში შეშის დამზადებას შეუდგება, სადაც საჭირო იქნება 80 ათასი მუშა. მიწანელას დასამუშავებლათ 1918 წელს საჭირო იქნება 10 ათასი მუშა.

თათბირს დაესწრო აგრეთვე მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენელი. მან აღნიშნა,—ყველა ეს სამუშაო შავი სამუშაოა, ხელოსანი მუშები კი მაინც უმუშევრათ დარჩებიანო. ამიტომ, მისი აზრით, საჭიროა ისეთი, საზოგადო სამუშაოების შექმნაც, სადაც ხელოსანი მუშები იქნებიან საჭირონიო. ამ საკითხის შესახებ ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა: ამ ჟამად სამინისტრო ასეთი სამუშაოების პროექტებს უკვე ამზადებს და ახლო მომავალში უეჭველად განხორციელებული იქნებაო.

შრომის სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბევრ ქალაქებსა და ერობებს განზრახვა აქვთ ახლავე შეუდგნენ ისეთი სამუშაოების შესრულებას, როგორიცაა ქალაქებში კანალიზაციის გაკეთება, რკინის გზის მთავარი ლინიებიდან პატარა რკინის გზის შტოების გაყვანა და სხ.

თფ. საბჭოს თათბირი.

4 აგვისტოს მოხდა თფილისის ახლად არჩეულ საბჭოს კერძო თათბირი. თათბირს დაესწრო 60 ამდე ხმოსანი. მარცხენა ფრთა ამხ. ბოლშევიკებმა დაიჭირეს, მათ მიყვნენ ს.-რევოლიუციონერები. მარჯვენა ნაწილს ყველა გაურბის. ბოლოს ყველამ დაიჭირა ცალ-ცალკე ადგილი, ვინაიდან კერძო თათბირზე ადგილების განაწილებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. პირველი ოფიციალური სხდომისათვის კი ადგილების განაწილება მიენდო უხუცესთა საბჭოს.

თათბირი გახსნა ქალაქის თავმა ალ. ხატისოვმა. თავმჯდომარეთ დაასახელეს ნ. რამიშვილი და ა. ხატისოვი. არჩეულ იქნა ამხ. ნოე რამიშვილი. ვინაიდან თათბირი კერძოა მიზნათ აქვს მომავალი პირველი სხდომის დღის წესრიგის გამომუშავება და წვრილ პრაქტიკულ კითხვების გადაჭრა, გარეშე პირებს არ უშვებენ: მაგრამ სხდომა მაინც დახურულად არ ითვლება, პრესის წარმომადგენლებს მისცეს დასწრების ნება.

ს.-რევოლიუციონ. სახელით მირხალევ შემოაქვს რიგ გარეშე განცხადება, რომ ისინი მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ პირველი სხდომის დღის წესრიგის გამომუშავებაში და შემდეგ დასტოვებენ თათბირს, ვინაიდან მათ შეუძლებლად მიაჩნიათ კერძო თათბირზე გარეშე პირთა დაუსწრებლათ რაიმე პრინციპიალური საკითხის გარჩევა.

ამხ. ერზიკიანი და გ. მახარაძე არ ეთანხმებიან ამ განცხადებას, იგი დაგვიანებულათ და თან სრულიად უადგილოთ მიაჩნიათ, ვინაიდან გარეშე პირთა დაშვების წინააღმდეგ პრინციპიალურათ არავინაა და კერძო თათბირიც არავითარ ცვლილებას არ წამოაყენებს თავის თავათ. ამხ. მ. ცხაკაია ეთანხმება ერზიკიანსა და გ. მახარაძის განცხადებას და მხარს უჭერს კერძო თათბირს. ამავე შეხედულებას იზიარებს ოგანჯანიანი. (დაშნ.)

ამხ. ნოე რამიშვილს აკვირვებს მირხალიოვის მოულოდნელი, უადგილო განცხადება. ჩვენ აქ იმიტომ კი არ მოვსულვართ, რომ ვინმეს დავემალოთ; ჩვენ მოვედით აქ, რომ წინასწარ მოვემზადოთ, წვრილმანი პრაქტიკული კითხვები გადავსჭრათ და პირველ ოფიციალურ სხდომაზე პირდაპირ საქმეს შევუდგეთ—სთქვა მან.

ამის შემდეგ გაარჩიეს საქალაქო დებულების ზოგიერთი მუხლი, გადასჭრეს რამდენიმე პრაქტიკული საკითხი. გადასწყდა წვრილ, პრაქტიკულ საკითხების გასარჩევათ [illegible] იქნას უხუცესთა საბჭო, თითო წევრი ყველა ფრაქციიდან. მომავალი პირველი სხდომის დღის წესრიგი ასეთია: 1) ქალაქის თავის განცხადება; 2) ფრაქციების დეკლარაცია; 3) პრეზიდიუმის არჩევა (გადაწყდა ჯერ მარტო თავმჯდომარე აირჩიონ); 4) სხვადასხვა კითხვები (სარაიონო საბჭოები, მილიცია, ბინის საკითხი, ტრამვაი, საბჭოს მოწყობა და სხვ.) დღის წესრიგის გამომუშავების შემდეგ ს.-რევოლიუციონერებმა დასტოვეს სხდომა.

საავათმყოფო კასები.

საავათმყოფო კასების მართვა-გამგეობის საქმეში დიდ ცვლილებებს შეიტანს აქამდე დროებითი მთავრობის მიერ შემუშავებული კანონ პროექტი, როცა ის დამტკიცდება და ცხოვრებაში გატარდება.

ეს კანონ პროექტი შეიცავს 23 ივლისის 1912 წლის კანონის შესწორებებს.

საავათმყოფო კასები რუსეთში დღემდე ამ კანონის თანახმად მოქმედებენ. ამ კანონის ძალით წარმოების პატრონი მონაწილეობას ღებულობს როგორც მუშების რწმუნებულთა კრებებზე, ისე კასის გამგეობაში. რწმუნებულთა კრებაზე წარმოების პატრონის წარმომადგენელს მთელი კრების შემადგენლობის ორი მესამედი ხმა აქვს. გამგეობაში კი, მუშებს უფლება აქვთ ერთი კაცი მეტი აირჩიონ. მაგ., თუ გამგეობაში 15 წევრია ასარჩევი და თუ წარმოების პატრონი „ჯენტლმენი“ კაცი გამოდგა, შეუძლია 7 წევრი დანიშნოს, 8 წევრს მუშები აირჩევენ.

რწმუნებულთა საზოგადო კრებაზედაც წარმოების პატრონს შეეძლო თავისი თავმჯდომარის დანიშვნა.

კასების ცხოვრებაში ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როცა ჯიუტი პატრონის მიზეზით ბევრი წმინდა მუშური საკითხები „ხაზეინის“ თვალსაზრისით სწყდებოდა. ახალი შესწორების თანახმად ეს ისპობა. წარმოების პატრონს უნდა ჩამოერთვას უფლება როგორც საზოგადო კრებაზე, აგრეთვე გამგეობაში მონაწილეობისა. ასე რომ, ამ შესწორებათა დამტკიცების შემდეგ საავათმყოფო კასები დამოუკიდებლად, ავტონომიურად იმუშავებენ.

ძველი კანონის ძალით არც საექიმო დახმარების საქმე შეეძლოთ მუშებს მოეწყოთ ისე, როგორც ეს მათთვის სასარგებლო იქნებოდა. აქაც წარმოების პატრონს დიდი უფლებები ჰქონდა მინიჭებული. კანონი ვალდებულს ხდიდა წარმოების პატრონს, რათა მას ავათმყოფ მუშისათვის საექიმო დახმარება აღმოეჩინა, როგორც ფეხზე, ისე მწოლიარე ავათმყოფობის დროს განკურნებამდე, მაგრამ არა უმეტეს ოთხი თვისა. აქ წარმოების პატრონს სრული უფლება ჰქონდა როგორც მას მოესურვებოდა, ისე მოეწყო ეს საექიმო დახმარების საქმე,—ის მოისურვებდა საკუთარ საავათმყოფოს გახსნიდა, მოისურვებდა,—რომელიმე კერძო ან ქალაქის გინდ ერობის საავათმყოფოს შეუთანხმდებოდა. მიზანი მისი კი ერთი იყო: რაც შეიძლება ნაკლები დახარჯულიყო ამ საქმეზე!

ახალ შესწორებას აქაც ცვლილება შეაქვს. საავათმყოფო კასებს უფლება ეძლევათ მუშათა საექიმო დახმარების საქმე თვითონ მათ მოაწყონ წარმოების პატრონთა ხარჯით.—სულ ერთია: წარმოების პატრონი ამის თანახმა იქნება თუ არა. კანონი მას აიძულებს ასე მოიქცეს.

ჯერ კიდევ ძველი რეჟიმის დროს, როცა საავათმყოფო კასები პოლიციურ მარწუხებში სულს ლევდნენ, დიდი იყო მათში მისწრაფება ამ ნიადაგზე გაერთიანებისა. როგორც ვიცით, კასები საექიმო დახმარებას უწევდენ კასის წევრთა ოჯახის წევრებს. სწორეთ ამ საქმეში წარმოების მსხვილ ბევრ ცენტრებში გაერთიანდენ კასები და საერთო ამბულატორიები დაიარსეს.

ახალი კანონის შემდეგ, იმედი უნდა ვიქონიოთ, კასების მუშაობა ამ ნიადაგზე ერთი-ორად გაძლიერდება!

ამას გარდა, ახალი კანონის ძალით საექიმო დახმარება წარმოების პატრონის ხარჯზე ვრცელდება ისეთ წარმოებაზე, რომელშიაც მუშაობს არა ნაკლებ ხუთი კაცისა. ძველი კანონის ძალით კი,—საჭირო იყო: სადაც მოძრავი მანქანა მუშაობდა—20 მუშა, სადაც ასეთი მანქანა არ იყო—30 მუშა.

ახალი კანონის ძალით საავათმყოფო კასები განთავისუფლებული იქნებიან აგრეთვე იმ ხარჯებისგან, რომლებსაც ისინი ეწეოდენ წარმოებაში უბედურ შემთხვევის დროს დასახიჩრებული მუშის შემწეობით დღიდან დასახიჩრებისა 12 კვირის განმავლობაში. ამ საქმეს მოწესრიგებდა სადაზღვევო საკრებულო. ამის შემდეგ ეს ხარჯიც საკუთრივ წარმოების პატრონმა უნდა გასწიოს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ 1903 წლის 2 ივლისის კანონის ძალით მუშების დაზღვევის ხარჯები უბედურ შემთხვევათა გამო დაკისრებულ ჰქონდათ წარმოების პატრონებს, მაგრამ რადგანაც მანქანებით მთავარი ხარჯები 23 ივლისის 1912 წლის კანონის ძალით საავათმყოფო კასებსაც დაუნაწილეს.

ახალი კანონის ძალით თვით-მოქმედების სრული თავისუფლება ეძლევა საავათმყოფო კასებს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ძველი რეჟიმის დროს მიღებულ პრაქტიკა გამოცდილებას ფართოდ გამოიყენებენ მუშები ამ დარგშიაც.

მუშათა ცხოვრება

თფილისის საქონლის სადგური. იყო დრო, როდესაც თფილისის სადგურის მუშები გაზეთების კითხვას გაურბოდნენ და თავისუფალ დროს ლაზღანდარობაში და ფუქსავატობაში ატარებდნენ. საბედნიეროთ სამარცხვინო საქციელი უკვე მოსდევს და კარგ გზას დაადგნენ.

დღეს არ მოიპოვება აქ ისეთი მუშა, რომელსაც ყოველ დღიური გაზეთი არ მოდიოდეს. გაზეთებს აქ ავრცელებს ამხ. ს. ჩიგოგიძე.

ამ საერთო სიძვირის დროს რასაკვირველია გაზეთის ფასმაც აიწია და ეს ზოგმა სულ მოკლე მუშამ სალაპარაკოთ გახადეს და აქა იქ აგიტაციას ეწევიან, რომ გაზეთი არ გამოიწერონ. მაგრამ მუშებმა უპასუხეს: მუშათა კლასის შემაერთებელი და მისი ინტერესების დამცველი გაზეთი „ერთობაა“ და ის, რაც უნდა გაძვირდეს, რაც უნდა დაგვიჯდეს—უნდა გამოვიწეროთო. უგაზეთოდ დარჩენა არ შეგვიძლიაო.

თფილისის სადგურის მუშებმა გადაწყვიტეს მოაწყონ იაფ ფასიანი სასადილო და ერთდროული საპაიო გადასახადიც დაწესეს—ათი მან. და ათი შაური. მუშები ეწერებიან და ყურადღებას არ აქცევენ ინტრიგანებს.

იმედია თფილისის სადგურის მუშები ხელს შეუწყობენ ამ სიმპატიურ გადაწყვეტილებას და თავს დააღწევენ მიკიტნების თავ გასულობას.

ხალხანი.

აჯიკაბული. აქ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში კიდევ ძველებური ბატონობაა. უფროსები უკიდურეს მდგომარეობაში აყენებენ ფოსტალიონებს; სულ იმას გაიძახიან, ჯამაგირი თქვენც მოგიმატეს და უნდათ მათი საქმე ჩვენ გავაკეთოთ. ფოსტალიონებს თავისი სამუშაოც ეყოფათ. ისინი დაყვებიან ფოსტას „ბოლში პოიმისლამდე“ მიაზურობენ ფურგუნებით. სულ აქეთ-იქით უნდა გაიარონ 150 ვერსი. ცხენები უქონლობით დასუსტებული არიან, ამიტომ ფოსტას აგვიანდება, უფროსები კი ფოსტალიონებს სდებენ ბრალს და ილანძღებიან. საჭიროა, რომ ფოსტალიონები შეუერთდნენ მუშათა პარტიას. მაშინ უფრო ადვილათ დავაღწევთ თავს ბევრ შევიწროვებას.

მეყვიშელი შ—ია.

ზინგერის მოსამსახურეთა საყურადღებოთ. 15 აგვისტოს მოწვეულია ქ. თფილისში დილის 10 ს. მეორე დელეგატთა სიეზდი ზინგერის კამპ. თფილისის რაიონის. კრება დანიშნულია იქ, სადაც პირველი სიეზდის სხდომები იყო. დღიურ წეს-რიგში შედის შემდეგი კითხვები:

1) მოხსენება დელეგატების სრულიად რუსეთის კავშირისა.
2) მოხსენება გამგეობისა საქმის მდგომარეობის შესახებ.
3) რუსეთის კავშირისთვის ერთი ამხანაგის არჩევა.
4) დამოკიდებულება მშრომელთა მთავარ გამგეობასთან.
5) მომენტი.

თითო დეპომ უნდა გამოგზავნოს ერთი წარმომადგენელი.

თფილისის ამხანაგებმა საჩივარი შეიტანეს თფილისის მუშათა საბჭოში ლევინზე, მაგრამ ის არ ცხრება. გორის მუშათა საბჭომ მოისმინა თავის წევრის მოხსენება, საცა შეურაცყოფას აყენებდა ის როგორც წევრს ისე საზოგადო საქმეს.

დაადგინეს გაეგზავნოს ოფიციალური განცხადება თფილისის ზინგერის უფროს ლევინს ბოდიში მოიხადოს გორის მუშათა საბჭოს წინაშე უკიდურეს შემთხვევაში სასტიკი ზომები იქნება მის წინააღმდეგ მიღებული.

იმედია ახლა მაინც ამხანაგები ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტებს ანგარიშს გაუწევენ და სასტიკ პასუხს მოსთხოვენ ლევინს.

აბრამ მიქაძე.

ბათუმი. 9 ივლისს შესდგა მეფურნეთა და მოსამსახურეთა კავშირის კრება. დღიურ წესრიგში შედიოდა 1) ახალი გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევა, და 2) ნივთიერი დახმარების აღმოჩენა. პირველი კითხვის შესახებ კრებამ იქონია მჯელობა და აირჩია ახალი გამგეობის წევრები: ვასილ მახარაძე, ერმილე ცადეიშვილი, თევ. ჯ. ნოე სარიშვილი, ლუდმილა მგალობლიშვილი და გრიგოლი შუბლაძე. სარევიზიო კომ. წევრები: ვიქტორ ნუცუბიძე, ნიკო ქუმნია, ვიქტორ ინწკირველი და მდივანი ალექსი ჯაში.

მეორე კითხვის შესახებ გადაწყდა, რომ თვითეულ წევრს გადაახდევინ ჯამაგირის 75%. ზემოთ მოხსენებული გამგეობის წევრები უკვე შეუდგნენ თავიანთ მოვალეობის ასრულებას. გამგეობა მოუწოდებს იმ მეფურნეთა და მოსამსახურეთა მუშებს, რომლებიც არ ჩაწერილან მოიწადინონ და ჩაეწერონ ზემოთ მოხსენებულ კავშირში.

როგორც სჩანს ფურნეების ახალი გამგეობა ენერგიულათ შეუდგა საქმეების მოწესრიგებას.

ალექსი ჯაში.

პროვინციის ცხოვრება.

ლეხაინდრაო-ონოღიის საზოგადოება. (სამეგრელო). 26 ივლისს, საღამოს, ნაგიბეროუს სკოლის დარბაზში მოხდა კრება, კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ალექსანდრე გაბუნია.

ამხ. გიორგი ჩიქოვანმა ფართოთ განუმარტა ხალხს დღევანდელი მომენტი და მისი მნიშვნელობა, ომი და მისი გამომწვევი მიზეზები, ქალთა საკითხი და სხვა. ე. გაბუნიას არაფრათ ეპიტნავა ქალთა თანასწორობა, ის არწმუნებდა კრებას, რომ ეს არასასურველია დღეს და ქალს გარდა ოჯახში მუშაობისა სხვა არა ესაქმებაო. ბ. ერისთო მალე დაარწმუნეს, რომ ის სცდებოდა.

წარსული წლის პირველ აგვისტოდან აქ არსებობს მომხმარებელი საზოგადოება „ჯანთიადი“. მოწინავე პირთა ინიციატორობით საქმე სასურველ დონეზე დაყენებული და ამხანაგობის საქმეც რაც დღე გადის თანდათან ფართოვდება.

27 ივლისიდან ამა წლისა ამ ამხანაგობამ გახსნა საფართალო განყოფილება, შეიძინა ამისთვის საკუთარი სახლი, მოიწვია ნოქრად საქმის კარგად მცოდნე ბ. არსენ ზაქარაია და შეუდგა მოქმედებას. იმედია ეს დაწესებულებაც, როგორც პირველი ხალხის ნდობას გაამართლებს.

ყოფილი მთავრობის მამასახლისი ბ. გიორგი შავლია, რომლის გმირული მოქმედებები არაერთხელ აღნიშნულა გაზეთის ფურცლებზე—დღესაც თავისუფლად დაფარფაშებს. მიუხედავათ იმისა, რომ მან ჯარის-კაცთა ოჯახები დაურბევია, ქრთამები უღია და სხ. ადგილობრივმა სოფლის სამმართველომაც სწორედ მისი მაზლით ჩაუნთქავს ცეცხლს, ეს ვაჟბატონი ჯერაც პასუხისგებაში არ მიუცათ.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ბ. შავლიას ქალაქის თვითმართველობაში მოუკალათებია, თბილი ადგილი უშოვნია.

იმედია შემდეგში არ განმეორდება ასეთი არა სასურველი მოვლენები და თვით სამაზრო მთავრობაც შეეცდება შავლიას შესაფერი პასუხი მოსთხოვოს.

მოკეთე.

საზურაოს რაიონი. (დუშეთის მაზრა). 30 ივლისს მოხდა მომხმარებელი საზოგადოების „ცხოვრების“ წევრთა კრება. კრებას დაესწრენ თითქმის ყველა წევრები და მრავალი არა წევრთაგანიც, როგორც კაცები, ისე ქალებიც. გამგეობის წევრმა მღ. ი. ლუკაშვილმა მოახსენა დამსწრე საზოგადოებას ანგარიში, საიდანაც გამოირკვა შემდეგი: აღნიშნული კოოპერატივი გახსნილა მიმდინარე წლის 19 თებერვალს. ხუთი თვის მოქმედების განმავლობაში კოოპერატივს გაუსაღებია 50,000 მანეთის ღირებულების საქონელი. 1) გასაყიდი საქონელი აღმოჩნდა მაღაზიაში 6614 მან. 9 კაპ. 2) კოოპერატივთა კავშირში შეტანილია ბე 300 მან., 3) ნაღდი ფული კასაში 3350 მან. და 4) ინვენტარი 220 მანეთი. სულ 10,484 მან. 9 კ. აქედან საპაიო ფული არის 3000 მან. და ვალი სხვა და სხვა პირთა (გოლა გულბათაშვილის, ლექსო პაპუნაშვილის და ივანე ტატიშვილისა) 5000 მან. ნოქრების ჯამაგირები 370 მან. სულ—8370 მან. სხვა და სხვა ხარჯების გარდა (შენობის ქირა, ნოქრების შენახვა, სახლის ქირა და სხ.) წმინდა მოგება დარჩა 2000 მანეთზე მეტი. გარდა ამისა კოოპერატივს ჰყავს დურგალი, ხარაზი და ნალბანდი, რომლებიც თავ-თავიანთ ხელობით სამსახურს უწევდნენ მცხოვრებლებს. კოოპერატივის ასეთი მარჯვე წარმოებით საზოგადოება დიდი კმაყოფილი დარჩა და ფეხზე ადგომით გულითადი მადლობა გადაუხადა როგორც გამგეობის წევრებს, ისე ყველა ნოქრებს—კეთილ სინდისიერი სამსახურისთვის,—და ამასთანავე სთხოვა კვლავ განეგძოთ ასეთი ერთგული და სასარგებლო მოქმედება. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ხსენებულმა კოოპერატივმა დიდი დახმარება და სამსახური გაუწია საზოგადოებას. ამ საერთო სიძვირის და უქონლობის ხანაში მან თავისი ბეჯითი მოქმედებით ხალხს მიაწოდა რამდენიმე ვაგონი ფქვილი და სხვა პირველ საჭიროების საგნები, რითაც გადაარჩინა 22 სოფელი შიმშილს.

ზემოდ მოყვანილი ანგარიში ეწინააღმდეგება „სოფლელ ამხანაგის“ ცნობებს (28 მაისის „ერთობა“). გამოირკვა, რომ „სოფ. ამხ.“ ცნობები სწორი არ არის. კოოპერატივს თავიდანვე რამოდენიმე მოწინააღმდეგე გაუჩნდა, ზოგიერთების აგიტაციამ გავლენა იქონია გაუცნობიერებელ ხალხზე. პირველად ჩაწერილი 300 წევრიდან რამდენიმე კვირის განმავლობაში გამოეწერა 78 წევრი, რომელთაც გაიტანეს საპაიო და შესანახად შემოტანილი ფული 1500 მან. „სოფ. ამხ.“ გაზეთის ფურცლებზედაც გაილაშქრა ჩვენი კოოპერატივის წინააღმდეგ, მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა დაგვანახა. რაც შეეხება გიორგი ტატიშვილის თავის ნებით კომისრად დადგომას,—ეს სიცრუეა. ის ხალხმა აირჩია და ნდობითაც აღჭურვა.

გოლა გულბათაშვილი.

საბურთალო. მუშათა საბჭოს და ადგილობრივ მოწინავე მუშების მეცადინეობით საბურთალოსაც მიეცა უფლება მონაწილეობა მიეღო თფ. ქალაქის არჩევნებში.

თითქმის ათი წელიწადია ადგილობრივი ბობოლა პირები მუხლმოდრეკით ევედრებოდენ ქალაქის ძველ მამებს, მაგრამ მათი ხვეწნა მუდამ უყურადღებოთ რჩებოდა. რაც მათ ვერ შესძლეს ათ წელში, მუშებმა 8 კვირაში მოახერხეს. ეს კარგათ გაიგეს საბურთალოს მცხოვრებლებმა და შესაფერადაც დააფასეს მათი მოღვაწეობა 30 ივლისს. 652 ხმიდან 590 ხმა მიეცეს სოც.-დემ. მუშათა პარტიას. მაგრამ მე მაინც უკმაყოფილო ვარ ამ არჩევნებისა, რადგან ძალიან ბევრი ხმები დაიკარგა. რამდენადაც ვიცი, პირველი აღწერის დროს იყო 900 ხმის მიმცემი. აქედან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 652 ამომრჩეველმა, ხოლო დანარჩენი 248 ხმა დაიკარგა, ვინც ყუთებთან იყო ხმის მიცემის დროს, ის შეამჩნევდა, როგორ გადამახინჯებული იყო გვარები. გარდა ამისა იყო ხშირათ ასეთი მაგალითი: ცოლი და ქმარი ერთ დროს და ერთ ადრესზე ჩაუწერიათ—ცოლს მიუღია საარჩევნო ბარათი, ქმარს—არა.

ეს ყველაფერი სახეში უნდა მივიღოთ შემდეგისთვის და ყოველივე ზომები მივიღოთ, რომ ასეთ მაგალითებს ადგილი არ ჰქონდეს.

მართალია ყველაფერი დღეს აირდაირია. მაგრამ საბურთალოზე რომ ულმერთობაა, ეს ღმერთმა ყველას აშოროს. შოთკა წყალი მანეთ ნახევარი ღირს, საშინელი უსუფთაობაა, ხშირია ათასგვარი ავათმყოფობა. ექიმის მოყვანა 15—20 მან. ჯდება, აფთიაქი არ არის. ერთი აფთიაქის საწყობია. მის პატრონს უძალლო ქვეყანა უპოვნია და უჯოხოთ დაიარება, ხასიათი ასეთი აქვს: თუ გუნებაზე არ არის, გინდ იქვე მოკვდეს მთხოვნელი, არც კი შეხედავს.

ყველა ამის მოწესრიგებას მოველით ჩვენ ახალ საბჭოსაგან.

მ. გოგლიძე.

ფონდი.

ჩვენ 489 რაზ. პოლ. მე 16 როტის, პოზიციაზე მყოფნი ჯარ-კაცნი, გიძღვნით ამხანაგურ სალამს.

ამასთანავე გიგზავნით ჩვენს შორის შეგროვილ 143 მ. 90 კ. და გთხოვთ განაწილოთ შემდეგნაირად: საკუთარი სტამბის შესაძენათ 40 მ., გაზეთ „ერთობის“ ფონდისათვის 20 მ., გაზ. „ბარბას“ ფონდისათვის 19 მან. 90 კ., ხვარბეთის სამკითხველოს 10 მან., სოფ. ეწერის სამკითხველოს (გურიანთის საზოგადოება) 10 მ., სოფ. ვაკის სამკითხველოს (მიქელ-გაბრიელის საზოგ.) 10 მ., სოფ. ერკეთის სამკითხველოს 10 მან., სოფ. ჩიბათის სამკითხველოს 7 მ., სოფ. საჭილავოს (აზაშის უჩასკა) სამკით. 7 მ.*)

ამხ. მონდ. სიმონ მეხუზლა და იაკინთე კვირკველიძე.

გაზეთის სასარგებლოდ.

15-დან გთხოვთ გაზეთი გაუგზავნოთ ჩვენი ხარჯით ჩვენი დაუვიწყარი მებრძოლის ამხანაგის გიორგი პეტრეს ძე მარსაგოვის ხსოვნის აღსანიშნავათ კახეთში სოფ. კურდღელაურს და სოფ. კონდოლს; 2) გურიაში სოფ. ამაღლებას და სამებას წლის ბოლომდის.

ირაკლი დოლიძე.

ჩვენ მეექვსე პოგრანიჩ. კავკ. პოლკში მოსამსახურე ჯარისკაცები (ქართველები) და კარიაგინოს ფოსტაში მოსამსახურე ქართველები გიგზავნით ჩვენი გაზეთის „ერთობის“ ფონდის გასაძლიერებლათ მცირე წვლილს. სულ 23 მანეთი.

ამხ. მონდ. მ. ჯმუხაძე.

გიგზავნით 83 მანეთს, რომელიც შეაგროვა ამხ. ბესარიონ კუპრაძემ თანაგრძნობთა შორის, მახინჯაურის ამხანაგების რ. ს. დ. მ. პარტიის დავალებით. ნახევარი აღნიშნული თანხისა 41 მ. და 50 კ. გადავწყვიტეთ მოახმარდეს პარტიულ სტამბის ფონდს, ხოლო მეორე ნახევარი 41 მ. და 50 კ. კი მუშათა ორგანოს გაზეთ „ერთობას“.

ამხ. დავალებით ხევსტი პანტურიშვილი.

სტამბის ფონდი.

გახლავთ ჩვენს წვლილს პარტიული სტამბის შესაძენათ: გიორგი ხურცილამ 15 მან. და ვარლამ ჯიქიამ 10 მან. სულ 25 მან. მე 20 კავკასიის მსროლელი პოლკის ალილოკიიდან ქართველი ჯარის-კაცები გ. ხურცია და ვარ. ჯიქია.

გახლავთ ჩვენს წვლილს ათ მანეთს პარტიულ სტამბის ფონდისთვის.

ლუკა ციხკარიძე.

მივიღეთ მღვდ. რომანოზ მეგრელიძისაგან მიქელ გაბრიელის ამხანაგებში შეგროვილი 50 მ. პარტიულ სტამბის სასარგებლოდ.

მივიღეთ დიმიტრი გურგენიძისაგან ამხანაგებში შეგროვილი 12 მან. პარტიულ სტამბის ფონდისთვის.

მივიღეთ გარდაცვლილი ჯარის-კაცის ილიკო (ვანო) ივანეს ძე კვაჭაძის მშობლებისაგან 24 მან. აქედან 6 მან. ჯარის კაცებისთვის გაზეთის გასაწერად და 18 მან. პარტიულ სტამბის სასარგებლოდ.

წერილები რედაქციის მიმართ.

ჯვარცმის უფასო წიგნთ საცავ-სამკ. გამგ. მადლობას სწირავს იაკობ ასამბაძეს, კარპეზ ქლენტს, აბესალომ შარაშენიძეს და ჯ. ქ. ვანო ბურჭულაძეს, რომლებმაც შეაგროვეს პირველმა თფილისის საქონლის სადგურის მუშებში 127 მ. 60 კ., მეორემ ფოთის მუშებში 105 მან., მესამემ სენაკის მუშებში 31 მან., და მეოთხემ რაზის ქართველ ჯარის-კაცებში 19 მ. 50 კაპ. სამკითხველოს სასარგებლოთ. მადლობას უძღვნით შემომწირველებსაც.

გამგეობის მონ. ივ. ქორთშასპირელი.

თფილისში არსებულმა რაჭველ-ლეჩხუმელთა დამხმარე კომიტეტმა, დახმარება მიიღო შემდეგ პირთაგან: ლეონტი წერეთლისაგან, პავლე ბუაძისაგან და ბიქტორ წერეთლისაგან ბათუმში 133 პირთა შორის შეგროვილი 282 მან. იასონ გიორგობიანის მიერ 13 მან. ფრონტიდან, 1 კავკასიის მორტირნი არტილერიის დივიზიონის ჯარისკაცთა შორის შეგროვილი. სიმონ გურგენიძისაგან 70 მან. 50 კაპ. კარაკლისში მცხოვრებ ამხანაგთა შორის შეგროვილი. ცისლამა ქარაველიძისაგან 36 მან. მიხაილოვში შეგროვილი. სულ 388 მან. 50 კ.

რაჭველ-ლეჩხუმელთა დამხმარე კომიტეტი უღრმეს მადლობას უძღვნის როგორც ფულის შემგროვებელთ აგრეთვე შემომწირველთ.

მადლობას უცხადებთ ყველა იმ პირებს, რომელთაც კეთილი ინებეს და შეკრიბეს ფულები, აგრეთვე შემომწირველთ ლეხუნდარის ეგნატე ნინოშვილის სახელობის უფასო წიგნთ საცავ-სამკითხველოს სასარგებლოთ.

მივიღეთ სანდრო ყანჩაველის მიერ ს. სარაკამიში შეგროვილი: 112 მ. იაკინთე ვახუშტის ძე კოზირიძესაგან ს. შორაპანში შეგროვილი: 23 მ. 70 კ. გრიგოლ ერმანოზის ძე მაჭავარიანისგან, დ. ჭიათურაში შეგროვილი: 26 მ. 15 კ. გრიგოლ პორფილეს ძე კაველაძისაგან დასავლეთ ბრძოლის ველზე შეგროვილი: 47 მ. 17 კ. ვანო დავითის ძე სულაქველიძისგან ს. ლაგოდეხში შეგროვილი: 26 მ. 50 კ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგეობის მინდობილობით: ლევან ისმაილის ძე კავილაძე *)

მადლობას უცხადებთ ევფროსინე ე—ძე თალაკვაძეს, რომელმაც თავის ნაცნობთ შორის შეაგროვა ასკანა-მთისპირის სამკითხველოსათვის 33 მ. და 20 კ. და გამოუწერა ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“; აგრეთვე მადლობა მათ, ვინც არ დაიშურა თავისი წვლილი.

თავმჯდომარე ბ. თალაკვაძე.

მადლობას უცხადებთ პოლიქტე ჯაჯიეშვილს, რომელმაც სოფლის სამკითხველოს შესწირა თავისი შვილის ნიკოლას სახსოვრად 40 მ.

გამგეობა.

ს. ჭილოვანის და ნინოსუბნის ახალ სცენის მოყვარეთა მინდობილობით გიგზავნით 20 მ. და გთხოვთ აქედან 10 მან. გადასცეთ ომში დაზარალებულ ჯარისკაცთა ოჯახების სასარგებლოთ და ათი მანეთიც ობლების სასარგებლოთ.

ამხ. მინდობილებით. ე. მ. ტყემალაძე.

ოქროსქედის (გურია) სახალხო სკოლის სამზრუნველო მადლობას უცხადებს იმ პირთ, რომლებმაც ნივთიერი დახმარება აღმოუჩინეს ხსენებულ სკოლას.

მზრუნვ. მონდ. ვლ. ცქვიტინიძე.

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით სამედიატორო სასამართლოში გამოვიწვიო სოფელ გომის (გურია) კოოპერატიული დუქნის „შეღავათის“ გამგეობის წევრები, იასონ და იაგორ ტყეშელაძე და მიხეილ ჯღერია, რომლებმაც, შეურაცყოფა მომაყენეს. ჩემს მედიატორათ ვასახელებ მიხეილ ტყეშელაძეს. მათ ვაძლევ ვადას დღეის რიცხვიდგან სამი კვირის განმავლობაში დაასახელონ თავიანთი მედიატორები. საქმის გარჩევის დღეს ცალკე ვაცნობებ კერძო ბარათით, უკეთუ არ დათანხმდებიან ჩემს მოთხოვნილებას უფლებას ვიტოვებ შესაფერი სახელი უწოდო მათ მოქმედებას.“

სარევიზიო კომისიის წევრი

ექვთიმე მეფარიშვილი.

მადლობას უცხადებთ ვლადიმერ იაკინთეს ძე ტუსკიას, რომელმაც ბაცანის პირველდაწყებითი უმაღლეს სასწავლებელს შემოსწირა 100 მ., აგრეთვე მადლობას უძღვნით ლუკა მიქელაიშვილს, რომელმაც თავის ნათესავის გარდაცვალებულის მარია კონსტანტინეს ასულის სახსოვრად შემოსწირა ამავე [illegible] სულ 10 მანეთი.

ამავე სკოლის სამზრუნველოს კომიტეტის წევრნი: 1. მღ. მავრი ტუსკია, 2. ოქროპირ ჩხაიძე, 3. ნესტორ ჩხაიძე.

ღია წერილი სოც.-ფედერალისტებისადმი.

ვიღაცა „აქაურმა“ თქვენი გაზეთის მე-12 ნომერში წერილი მოათავსა ქ. დუშეთიდგან ხმოსანთა არჩევნების შესახებ. წერილი მიმართულია ადგილობრივ მომუშავე სოც.-დემოკრატების წინააღმდეგ და თავიდან ბოლომდე ტყუილებზედ არის აშენებული. გარდა ამისა წერილში დარღვეულია ყოველგვარი ლიტერატურული ეთიკა, ეს საშვალებას გვისპობს პასუხის ღირსი გავხადოთ მისი ავტორი. თუმც ჩვენ საშუალება აღარა გვაქვს „აქაურს“ გამოვეპასუხოთ, მაგრამ თუ ამ წერილის გაზეთში მოთავსება შეცდომა არ არის და გაზეთის ხელმძღვანელნი ადასტურებენ ყველა იმ მარგალიტებს, რომლებითაც არის მოქარგული ეს წერილი, იმ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებით ხმა ამოვიღოთ და წერილს არსებითად შევეხოთ. ამისათვის მივმართავთ გაზეთ „სახალხო საქმის“ ხელმძღვანელ სოც.-ფედერალისტებს, იცნობენ თუ არა ისინი ბატონ „აქაურს“ და თუ იცნობენ იზიარებენ თუ არა მის საქციელს და მის წერილში აღნიშნულ ფაქტებს?..

მ. კლიმიაშვილი, დ. ქიტუაშვილი და ლ. მამულაიშვილი.

---

*) სიას სამწუხაროთ ვერ ვბეჭდავთ.

*) შემომწირველთა სია არ იბეჭდება.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი

ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

[illegible] ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible]. ტელეფ. 15—00.

ქუთაისიდან

ექიმი ვალერიან ლორთქიფანიძე

იღებს შინაგან, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდი.

პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკი სახლში.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 8—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვის ქუჩა, № 19.

ექიმი გ. მ. მუსხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. [illegible]. ტელეფონი № 5—77.

ჯარის-კაცი

იაკობ პეხუს ძე მებონია

მსახურებდა ქ. ერევანში 281 სათადარიგო პოლკის 11 როტაში, 1 ვზვოდში, თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ ვსთხოვთ შეატყობინონ შემდეგი ადრესით: с. Кирцхи (Зуг. уѣз.) Соломону Изорія.

ჯარის კაცი

მაკარი კიმოთის ძე ლატათია

მსახურობდა კავკასიის მომქმედ ჯარში (ქ. ბათუმში) მე 221 სათადარიგო ქვეითა პოლკის მე 13 როტაში, 3 ვზვოდში. შვიდი თვეა მისგან არავითარი ცნობა არ მიგვიღია. ვსთხოვთ ყველას თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, გვაცნობოს შემდეგი ადრესით: с. Кицхи (Кут. г. Зугдидскаго уѣз. Цалендж. уч.), Кимоте Лататія. რაზედაც ის მიიღებს შესაფერ ჯილდოს.

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ

ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში

ერთი თვით 2 მ. ნ. 60 კაპ., ცალკე ნომერი 12 კაპ.

გაზეთის ფასი ხელის მომწერ. წინდაწინ უნდა გადაიხადოს, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 199.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლღას ქუჩა, № 6.

16 ივლისიდგან თფ. გამოდის ქართულ ენაზე ყოველ-კვირეული ჟურნალი

სოფლის მუშა

ჟურნალის გამოწერა, ფული და მასალა მიიღება შემდეგი მისამართით: თფილისი. სახალხო სახლი, სპარსეთის დარბაზი, იოსებ გიორგის ძე იმედაშვილს. გამოსაწერი ფასი წლით 10 მან. ნახევარი წლით—5 მან., 3 თვით—2 მ. 50 კ. 1, თვით—80 კ.

აუქციონი.

თფილისის ქალაქის ლომბარდი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას, 6 აგვისტოს, დილის 10 საათზე, ლომბარდის შენობაში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ვადა გასული დაგირავებული საგნები, რომლებიც შესდგება ძვირფასი ლითონეულისა და ქვებისაგან, ლითონის საგნებისა, საკერავი მანქანებისა, ნოხებისა, ტყავეულისა, ტანსაცმლისა და საერთოთ ყოველგვარი მოძრავი საქონლისა.

სწრაფად-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა გაბაევის შესახვევი № 1.